შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტური გაზეთი

# IBSU გაზეთი

www.ibsu.edu.ge

IBSU Media Centre/
IBSU TV & Radio IBSU

ყოველსემესტრული გაზეთი N15

## "ახალი მენეჯმენტის სამომავლო გეგმები" - ინტერვიუ კახა შენგელიასთან




გვ 2

## აბრეშუმის გზის მე-18 საერთაშორისო კონფერენცია IBSU-ში




გვ 12

## IBSU-ში სამედიცინო ფაკულტეტი იხსნება



გვ 2

## აშშ-ს ელჩმა საქართველოში რობინ დანიგანმა IBSU-ს ამერიკისმცოდნეობის კონფერენცია გახსნა




გვ 4

## IBSU სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამარჯვებულია



გვ 13

## IBSU-ს ტურიზმის საბაკალავრო პროგრამამ შვიდწლიანი აკრედიტაცია მიიღო




გვ 2

## IBSU-ს სპორტსიახლეები




გვ 14

## IBSU გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელს შეუერთდა

Network Georgia

გვ 12

## IBSU-ში საქართველოს ბანკის სასტიპენდიო პროგრამა დაიწყო




გვ 7

## ფოტორეპორტაჟი



გვ 8-9

## მეცნიერების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება IBSU-ში



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი მუდმივად უზრუნველყოფს სწავლების, კვლევისა და ინოვაციების განვითარებასა და ხელშეწყობას, სხვა აქტივობებთან ერთად სისტემატურად ზრუნავს სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით ცოდნის გადაცემასა, გამოცდილების გაზიარებასა და ცნობიერების ამაღლებაზე; ასევე, ახალგაზრდა თაობის მკვლევარებისა და მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ინტეგრირებასა და პროფესორ-მეცნიერებთან ერთად ერთობლივ პროექტებსა და კვლევებში მონაწილეობის ხელშეწყობაზე. სწორედ ამ მიზნით, UNESCO-ს ეგიდით 2001 წელს დაფუძნებული "მეცნიერების საერთაშორისო დღესთან" დაკავშირებით, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ტრადიციისამებრ, ყოველწლიურად ოქტომბერსა და ნოემბერში სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით იმართება ღონისძიებები

## IBSU-ს ტურიზმის საბაკალავრო პროგრამამ შვიდწლიანი აკრედიტაცია მიიღო




**IBSU-ს ტურიზმის ქართულენოვან და ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებს მიენიჭათ სრული აკრედიტაცია 7 წლის ვადით (მომდევნო კლასტერული აკრედიტაციის ვადამდე).**

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელის, ეკა დევიძის განცხადებით, აღნიშნულ პროგრამებში ცვლილებები განხორციელდა ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის, ტურიზმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის და აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების და კრიტერიუმების გათვალისწინებით; ასევე, ტურიზმის მიმართულების აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტების წარმომადგენლებისა და პოტენციური დამსაქმებლების აქტიური ჩართულობით.

აღსანიშნავია, რომ ტურიზმის პროგრამები შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში 2010 წლიდან ფუნქციონირებს.

# "ახალი მენეჯმენტის სამომავლო გეგმები" - ინტერვიუ IBSU-ს რექტორ კახა შენგელიასთან

ეთა სულუხია



**ყველასათვის მოულოდნელი იყო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გაყიდვა, განსაკუთრებით სტუდენტებისთვის, რამდენი ხანი მიმდინარეობდა IBSU-ს გაყიდვის პროცესი?**
- საკმაოდ დიდი ხანი მიმდინარეობდა მოლაპარაკება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ყოფილ დამფუძნებლებთან, თითქმის 2 წელიწადი. ეს გარიგება დამთავრდა ორ ოქტომბერს წარმატებით.

**თქვენ უკვე ხართ კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი, მოახდენს თუ არა ეს რაიმე სახის გავლენას IBSU-ზე, როგორც ბრენდზე?**
- მინდა ხაზგასმით ვთქვა ეს, IBSU ცალსახად ინარჩუნებს ყველაფერს, თავის ბრენდს , სახელს, პროფესორ-მასწავლებლებს, მენეჯმენტს ამას უბრალოდ დაემატება და გაძლიერდება ახალი ძალით , ახალი სისხლით და IBSU იქნება, უფრო უკეთესი, ვიდრე ის არის დღეს საქართველოს და არა მარტო საქართველოს ბაზარზე.

**სტუდენტებთან შეხვედრისას თქვით, რომ იგეგმება ახალ კამპუსში გადასვლა, რას გვეტყვით ამ სიახლეზე, როდისთვის იქნება შესაძლებელი ახალ კამპუსში გადასვლა?**
-უახლოეს მომავალში დაემატება ახალი კამპუსი,IBSU-სმფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე, სადაც იქნება განათლების ქალაქი, თუმცა ის კამპუსი, რომელიც ახლა აქვს IBSU-ს, ისევ იფუნქციონირებს, უფრო განვითარდება და დაემატება ფაკულტეტები. სამედიცინო ფაკულტეტი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს აქამდე არ ჰქონია და როგორც ვიცით, იგეგმება ამ ფაკულტეტის დამატება.

**როდისთვის დაემატება აღნიშნული ფაკულტეტი პროგრამების სიაში და კიდევ რა სიახლეებს უნდა ელოდოს აბიტურიენტები და სტუდენტები ამ კუთხით?**
-დიახ, მალე დაემატება სამედიცინო ფაკულტეტი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, ასევე აშენდება საუნივერსიტეტო საავადმყოფო აეროპორტის ტერიტორიაზე.

**გეგმავთ თუ არა უნივერსიტეტის ზრდის სტრატეგიის ფარგლებში, ახალი აკადემიური პროგრამების დამატებას გარდა სამედიცინო ფაკულტეტისა?**
-2024 წელს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს გარდა მედიცინის პროგრამისა სხვა ახალი პროგრამები დაემატება, მათ შორის ფსიქოლოგია, PR-ი, ინჟინერია.

**ბატონო კახა, თქვენ სამომავლო გეგმებში რამდენად დიდი წილი უჭირავს უცხოელი სტუდენტების მოზიდვას, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში?**
- დღეს კავკასიის უნივერსიტეტში სტუდენტების 20% უცხოელია, ხოლო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში 5%. მე ვფიქრობ ბალანსი უნდა დავიჭიროთ და გავზარდოთ უცხოელი სტუდენტების რაოდენობა, 40%ამდე უცხოელებისა და 60% ქართველებისა ორივე უნივერსიტეტში.

კახა შენგელიას რექტორობის პერიოდში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში არაერთი ცვლილება მოხდა, რომელიც სტუდენტების განათლების მიღებაზე ხელშესახებ გავლენას მოახდენს. მათ შორის არის ცვლილება, რომლის თანახმადაც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და იურიდიულ კომპანია "OK & CG"-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. როგორც უნივერსიტეტის პრესსამსახურში აცხადებენ, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ხელს შეუწყობს სტუდენტების მიერ მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გაანალიზებასა და განზოგადებას, სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებას და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, შესაბამის სფეროში დარგობრივი უნარების გაღრმავებას და სასწავლო პრაქტიკის გავლის შესაძლებლობას. ამასთან ერთად, IBSU გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელს შეუერთდა. 20 ნოემბერს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელს შეუერთდა, რომლის მისიაა მდგრადი მიდგომების სტიმულირებითა და ბიზნესის ჩართულობით პროგრესული მომავლის შექმნა საქართველოში, გაეროს გლობალური შეთანხმების ათი პრინციპის მხარდაჭერა და მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში წვლილის შეტანა.

იმ მიზნებზე, რის გამოც IBSU გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელს შეუერთდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალური მედიისა და კომუნიკაციების მენეჯერმა, მარიკა კარტოზიამ.
( მასალა ვრცლად იხილეთ მე-12 გვერდზე)

# შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტი იხსნება

ანა ლეჟავა



**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ახალმა რექტორმა მიიღო გადაწყვეტილება, სამედიცინო ფაკულტეტის გახსნაზე, რომელიც ახალ კამპუსს მთლიანად დაიკავებს.**

აღნიშნულ საკითხზე ჩვენთან ინტერვიუში საუბრობს სამედიცინო ფაკულტეტის დეკანი - გიორგი მახარაშვილი

**-რატომ გადაწყვიტეთ ამ ფაკულტეტის გახსნა?**
-გადაწყვეტილების მიღება ძალიან მარტივი იყო,რადგან ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და ფინანსურად მომგებიანი მიმართულებაა, თითქმის ყველა წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს მედიცინის მიმართულება, ვისაც ამის შესაძლებლობა და უნარი აქვს, რადგან საკმაოდ დიდი რესურსი სჭირდება ამ საქმის კეთებას. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტშიც გაგვეკეთებინა ეს ყველაფერი.მე პრორექტორის თანამდებობის გარდა შეთავსებული მაქვს ასევე, სამედიცინო ფაკულტეტის დეკანის თანამდებობა, რადგან წლების განმავლობაში კავკასიის უნივერსიტეტში ვიყავი ამ პოზიციაზე, შესაბამისად, დიდი გამოცდილება გვაქვს ამ მიმართულების და ამ საქმის კეთების, სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი რატომაც გავრისკეთ ამ ფაკულტეტის გაკეთება. მეორე და მთავარი მიზეზი, როგორც უკვე ვახსენე ეს არის კარგი შემოსავალი, რომელიც ამ პროგრამას და უცხოელ სტუდენტებს შეუძლიათ შემოიტანოს უნივერსიტეტში.

**რა ეღირება ამ ფაკულტეტზე სწავლა?**
ამ ფაკულტეტზე სწავლის საფასური გავყავით ორ ნაწილად- 1. რა ეღირება ქართველი სტუდენტებისთვის 2.რა ეღირება უცხოელი სტუდენტებისთვის. ქართველებისთვის დაახლოებით ეღირება 6000 ლარი, ხოლო უცხოელი სტუდენტებისთვის დაახლოებით 4000$, ჯერჯერობით ამ საკითხის დამუშავება მიმდინარეობს.

**როგორია ფაკულტეტის გახსნის მზაობა?**
შემუშავებული გვაქვს გეგმა, რომ მედიცინის ფაკულტეტზე სასწავლო პროცესი თავიდანვე დავიწყოთ ახალ კორპუსში, ამისთვის ჩვენ გარკვეული სახის სამუშაოები დაწყებული გვაქვს, კერძოდ მიმდინარეობს, როგორც ეზოს მოწყობა და ეგრეთწოდებული ლანდშაფტის დიზაინი, ასევე მიმდინარეობს საინჟინრო მოწყობილობების შემოწმება თუ როგორ მუშაობს, რამდენად შესაძლებელია, რა არის ჩასანაცვლებელი და ასე შემდეგ,შემდეგი ეტაპია კოსმეტიკური რემონტის გაკეთება. ვფიქრობთ, რომ აგვისტოს ბოლოსთვის, სექტემბრის დასაწყისში ეს შენობა მზად იქნება იმისთვის, რომ მიიღოს სტუდენტების პირველი ნაკადი. მედიცინის პროგრამის აკრედიტაციის პროცესი ამ ეტაპზე მიმდინარეობს, ჩვენ შევიტანეთ განაცხადი განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში, ჩვენთან იყვნენ მოსულები როგორც ხარისხის ცენტრის ექსპერტები, ასევე სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის ექსპერტები, რომლებმაც შეაფასეს და გამოგვიგზავნეს დასკვნა, რომელიც გვაძლევს იმის ფიქრის საშუალებას, რომ ამ პროგრამას ექნება სრულფასოვანი აკრედიტაცია, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გვეყოლება შემდეგ სტუდენტები.

**რამდენ წლიანი პროგრამა იქნება?**
მოგეხსენებათ მედიცინის პროგრამა ეს არის რეგულირებადი პროფესია და განისაზღვრება გარკვეული წესებით, აქ არ არის ამის საშუალება რომ რაღაცა შეცვალო, არის 6 წლიანი



პროგრამა, 6 წლის განმავლობაში ისწავლიან სტუდენტები და რაც შეეხება ხარისხს, მიიღებენ ეგრეთწოდებულ დიპლომირებული მედიკოსის ხარისხს, რომელიც არის მაგისტრთან გათანაბრებული, ბაკალავრს არ იღებენ, პირდაპირ იღებენ მაგისტრს 6 წლის შემდეგ.

**როგორი კვალიფიკაციის ლექტორებით დაკომპლექტდება უნივერსიტეტი?**
პროგრამა მთლიანად დაკომპლექტებულია უკვე ძალიან მაღალი დონისა და კვალიფიკაციის ლექტორებით, უკვე შეიძლება ითქვას, რომ დღეს ექვსივე კურსი გვქონდეს, ექვსივე კურსის ყველა საგანშივე გვყავს რამდენიმე მაღალი დონის ლექტორი მოაზრებული, გვაქვს მათთან ხელშეკრულებები გაფორმებული.

**რომელ კლინიკებში მოუწევთ სტუდენტებს პრაქტიკის გავლა?**
პროგრამა შეგვიძლია გავყოთ ორ დიდ ნაწილად. ეს არის ეგრეთწოდებული საბაზისო მიმართულებები, ანუ თეორიული მიმართულებები და მეორე კლინიკური მიმართულებები, კლინიკურ მიმართულებებს ჩვენი საბაზისო სტუდენტები გაივლიან ჩვენ პარტნიორ კლინიკებში, ჩვენ გვყავს ტოპ კლინიკები, როგორებიცაა: ავერსი, თოდუას კლინიკა, ჩაფიძის კლინიკა, ქირურგიის ეროვნული ცენტრი და მრავალი სხვა. საბოლოო ჯამში ეს სიახლე მეტად მნიშვნელოვანია. საინტერესო გადაწყვეტილებაა ამ ფაკულტეტის გახსნა, რაც მოზიდავს მეტ სტუდენტს და მოგვიტანს მეტ წარმატებას, ვიდრე აქამდე გვქონდა. საბოლოო ჯამში ეს სიახლე მეტად მნიშვნელოვანია. საინტერესო გადაწყვეტილებაა ამ ფაკულტეტის გახსნა, რაც მოზიდავს მეტ სტუდენტს და მოგვიტანს მეტ წარმატებას, ვიდრე აქამდე გვქონდა. ჩვენ ყველა ერთად შევძლებთ წინ წავიწიოთ ჩვენი უნივერსიტეტი და მეტი გამარჯვება მოვუტანოთ ერთმანეთს.



# "სტუდენტური თვითმმართველობა სტუდენტების ხმა არის ადმინისტრაციაში" - ინტერვიუ ქეთი ფანქველაშვილთან

ეთა სულუხია



*ქეთი ფანქველაშვილი- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი ეკონომიკის პროგრამის მე-3 კურსის სტუდენტი და სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.*

**-რამდენი ხანია რაც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ხართ და რამ გადაგაწყვეტინათ არჩევნებში მონაწილეობა?**
-სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ვარ 2023 წლის აპრილიდან. სიმართლე რომ გითხრათ, თავიდან სტუდენტურ თვითმმართველობაში, რომ შემოვედი არც მქონდა გააზრებული ის, რომ შეიძლებოდა პრეზიდენტი გავმხდარიყავი, მაგრამ მოგვიანებით აქტიურობამ და ჩემი მეგობრების დაჟინებულმა თხოვნამ და ალბათ, იმ უნარ-ჩვევებმა , რაც მაქვს გადამაწყვეტინა, რომ გავმხდარიყავი თვითმმართველობის პრეზიდენტი.

**-როგორია თქვენი, როგორც სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარის ერთი სამუშაო დღე?**
-ერთი სამუშაო დღე ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, მეც ისეთივე სტუდენტი ვარ როგორც ყველა, მაგრამ, ალბათ, უფრო მეტი მოვალეობები მაკისრია ვიდრე ჩვეულებრივ სტუდენტს. ჩემი ერთი დღე იწყება იბსუში მოსვლით, სტუდენტებთან უშუალო კონტაქტით, მათ პრობლემებზე საუბრით და შემდეგ ამ პრობლემების მოგვარებით. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტობაც მაგას ნიშნავს, რომ ყველანაირად სტუდენტებზე მიმართულები ვართ, ჩემი სამუშაო დღისძირითადიგეგმაცსწორედესარის.

**- ყველაზე ხშირად, რა სახის პრობლემების გამო მოგმართავენ სტუდენტები?**
-ყველაზე ხშირად გრაფიკთან დაკავშირებული პრობლემები, ლექტორებთან დაკავშირებული პრობლემები და ამ ბოლო დროის ყველაზე აქტუალური პრობლემა ინგლისური ენის წიგნთან დაკავშირებული პრობლემებია. წიგნი საკმაოდ ძვირი ღირს სტუდენტებისთვის და ყიდვის შემდეგ ვლინდება ტექნიკური ხარვეზებიც.

**- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში დიდი ცვლილებები განხორციელდა 2023 წლის მეორე ნახევარში, შეიცვალა უნივერსიტეტის მენეჯმენტი და რექტორი, როდის და რა გარემოში გაიცანით ისინი სტუდენტური თვითმმართველობის წევრებმა?**
-IBSU- ში მომხდარმა ცვლილებებმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია სტუდენტებში. პირველად ახალი რექტორი, ბატონი კახა შენგელია, სტუდენტებისთვის გამართულ შეხვედრაზე გავიცანი, შემდეგ კი , რა თქმა უნდა, უშუალო კონტაქტიც მქონდა მასთან.

**- როგორი იყო თქვენი პირველი შეხვედრა და რაზე გქონდათ საუბარი?**
- პირველი შეხვედრისას ვისაუბრეთ ჩვენს აქტივობებზე იმაზე, თუ რას მოიცავს იბსუში სტუდენტური თვითმმართველობა.

**- რამდენად არის ახალი მენეჯმენტი სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში ჩართული?**
-ჯერ მაინც ახალი პერიოდია, დიდიხანი არც გასულა, რაც IBSU-ს მენეჯმენტი შეიცვალა. ჩვენც ვეგუებით ცვლილებებს და ანალოგიურად ისინიც, რადგან როგორც ვიცი, კავკასიის უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობა არ ფუნქციონირებს და მათთვისაც რაღაცები ახალია. ჯერჯერობით ადაპტაციის პერიოდი გვაქვს უფრომეტად.

**- სემესტრის დასრულებამდე ცოტა დრო რჩება, რა აქტივობები გაქვთ დაგეგმილი ამ დროის განმავლობაში?**
-ჩანიშნულია შეხვედრა, რომელსაც განათლების დეპარტამენტი ატარებს, შემდეგ კვირაში კი გაიმართება "რა? სად? როდის?" გართობის დეპარტამენტის ხელმძღვანელობით. შემდეგ ღონისძიებებზე ინფორმაციას კი ეტაპობრივად მივაწვდით სტუდენტებს ჩვენი გვერდის მეშვეობით.

**- გარდა აღნიშნული აქტივობებისა, რაც უნივერსიტეტის კამპუსში ტარდება ასევე გაქვთ გარე აქტივობებიც, რას გვეტყვით ამ აქტივობებზე?**
-დიახ, ბოლოს ვიყავით 2დღიან ექსკურსიაზე ვარძიაში, 50 სტუდენტი.

**- მსგავს აქტივობებს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა აფინანსებდა და ჩართული იყო აქტიურად პროცესში, რას გვეტყვით ახალ მენეჯმენტზე?**
-ჯერჯერობით დაფინანსების თემა ანალოგიურია წინა მენეჯმენტისა, ახალი მენეჯმენტიც გარკვეულწილად აფინანსებს ექსკურსიებს. ნაწილს აფინანსებს უნივერსიტეტი, ნაწილს კი სტუდენტები იხდიან, რადგან ეს არის ექსკურსია და არა უნივერსიტეტთან დაკავშირებული აქტივობა.

**-კავკასიის უნივერსიტეტი, რომლის რექტორიც კახა შენგელიაა, ყველასათვის ცნობილია მისი საახალწლო დეკორაციებით, თუ იგეგმება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტშიც, საახალწლოდ ცვლილებები ამ კუთხით?**
-როგორც მაქვს ინფორმაცია, უკვე უახლოეს მომავალში, მაქსიმალურად ეცდება ბატონი კახა, რომ IBSU-ც ანალოგიურად იყოს მორთული, როგორც კავკასიის უნივერსიტეტი და უკვე დაიწყო სამზადისი. ასევე იგეგმება სტუდენტური თვითმმართველობის მხრიდან საახალწლო ღონისძიება, 23დეკემბერს არაოფიციალურ გარემოში.

**- დასასრულს მინდა შევეხო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას. უნივერსიტეტს 2024წელს უწევს გაიაროს აკრედიტაცია, მიმდინარეობს ახალ, 7წლიან სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა. თუ აქვს რაიმე სახის ინფორმაცია ამ საკითხზე სტუდენტურ თვითმმართველობას?**
-დიახ, ამაზე ინფორმაცია დიდი ხნის წინ მქონდა და ადმინისტრაციის მხრიდან დიდი სურვილი იყო სტუდენტური თვითმმართველობის ამ პროცესში ჩართვა, რადგან დამეთანხმებით, რომ სტუდენტების ჩართულობა ამ საკითხში ძალიან მნიშვნელოვანია. სტუდენტური თვითმმართველობა და სტუდენტების ხმა არის ადმინისტრაციაში და იმ კითხვებზე პასუხების მოპოვებაში, რაც სტუდენტებთან ჰქონდა ადმინისტრაციას სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობისას, ჩვენ აქტიურად ვეხმარებოდით მათ და შუამავლობას ვუწევდით სტუდენტებთან.

# კორეული ენისა და კულტურის კლუბის ღონისძიება - K – Game Quest:IBSU Edition

ანა ლეჟავა



**კორეული ენისა და კულტურის კლუბის მიერ K-game quest: IbSU edition გაიმართა კლუბის წევრებისა და მოწვეული სტუმრების მონაწილეობით.**

ღონისძიებაზე დამსწრეებს შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ ცნობილი კორეული ტელე - გადაცემების თამაშებში და მოეგოთ სპონსორების მიერ მოწოდებული პრიზები. მოცემულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ კორეული კულტურით დაინტერესებული ადამიანები. ნებისმიერ მსურველს შეეძლო გაეკეთებინა 5 კაციანი გუნდები და მიეღო მონაწილეობა. აქტიურად იყვნენ ჩართულნი იბსუს აზიური კულტურისა და ილიაუნის კორეული კულტურის კლუბი, რამაც უფრო გააღრმავა ჩვენი ურთიერთობები და სამომავლოდ საერთო ღონისძიებების დაგეგმვის შესაძლებლობები გაგვიხსნა.ღონისძიების მთავარ მიზანს წარმოადგენდა კორეული კულტურით დაინტერესებული ადამიანებისათვის უნიკალური შესაძლებლობების შეთავაზება, რაც გულისხმობს იმ თამაშებისა და აქტივობების ორგანიზებას, რომლებსაც ძირითადად ინტერნეტის საშუალებით ვხედავდით აქამდე. მონაწილეებს საშუალება მიეცათ მოცემული აქტივობები საკუთარ თავზე გამოეცადათ. "იმის გათვალისწინებით, რომ ღონისძიებას დიდი დაინტერესება მოჰყვა და ძალიან ბევრი მსურველი აღმოჩნდა, ვინც ამჯერად ვერ მოახერხა მონაწილეობის მიღება, ვფიქრობთ, მომავალშიც მოცემული ღონისძიების სერიის გაგრძელებას ჩემპიონატის სახით, კორეული კულტურის დიდ გულშემატკივრებს დიდი სურვილი გვქონდა მიგვეცა საშუალება ადამიანებისათვის, რომ გამოეცადათ ის თამაშები, რომლებსაც მათი საყვარელი აიდოლები თამაშობენ ხოლმე. ამით გვინდოდა დადებითი ემოციები გაგვეზიარებინა მათთვის და გაგვეტარებინა სასიამოვნო დრო მათთან ერთად. ამასთანავე, ჩვენი მიზანი იყო ხელი შეგვეწყო კორეული თამაშების კულტურის პოპულარიზაციისათვის"- კორეული კლუბის პრეზიდენტი სალომე გურგენიძე.

კორეული ენისა და კულტურის კლუბი უკვე მეორე წელია აქტიურად უწყობს ხელს კორეული კულტურის პოპულარიზაციას ქართველ სტუდენტებსა და მოსწავლეებში. კორეული ენითა და კულტურით დაინტერესებული კლუბის წევრები კრეატიული იდეებითა და დიდი მონდომებით ცდილობენ საინტერესო და სახალისო ღონისძიებების გამართვას კორეული კულტურის მიმართულებით. კლუბის ინიციატივით ჩატარდა ისეთი საინტერესო ღონისძიებები, როგორებიცაა: კორეული კინოინდუსტრიის ისტორიის განხილვა, ბადუგის მასტერკლასი, კორეული სილამაზის სტანდარტების გაცნობითი საჯარო ლექცია, K-Game quest:IBSU Edition და ყველაზე ფართომასშტაბიანი კორეული კულტურის ფესტივალი, რომელიც მომავალ სემესტრშიც გაიმართება. ღონისძიების აღწერა: 15 დეკემბერს, კორეული ენისა და კულტურის კლუბის ორგანიზებით გაიმართა ღონისძიება სახელად K-Game Quest: IBSU Edition, რომელიც არის ცნობილი კორეული ტელე-გადაცემების ანალოგი, სადაც მონაწილეებს შეეძლოთ ეთამაშათ და საკუთარ თავზე გამოეცადათ ის თამაშები, რომლებსაც მათი საყვარელი აიდოლები თამაშობენ. მოცემული ღონისძიება იყო ჯგუფური შეჯიბრი, სადაც მოთამაშეებმა რამდენიმე ტურად წარმოდგენილი თამაშები ითამაშეს. მოცემული თამაშები მოიცავდა ფიზიკურ, ჯგუფურ აქტივობებს, რამაც ღონისძიება უფრო სახალისო და დასამახსოვრებელი გახადა. გამარჯვებულ გუნდებს კი გადაეცათ სპონსორების მიერ მოწოდებული საჩუქრები.

# მადლიერების დღე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში

თიკა ჭუმბურიძე



**"მადლიერების დღის აღნიშვნა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში დაახლოებით 6-7 წლის წინ დავიწყეთ და ამ დღის აღსანიშნად დიდი ენთუზიაზმით ემზადებიან ჩვენი სტუდენტები"- გვიყვება ამერიკისმცოდნეობის პროგრამის ხელმძღვანელი თამარ შიოშვილი.**

მადლიერების დღე ამერიკელების ერთ-ერთი საყვარელი დღესასწაულია, იგი დიდი პომპეზურობით აღინიშნება ყოველწლიურად. ყოველი ნოემბრის მესამე ხუთშაბათს, უკვე რამდენიმე წელია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი აღნიშნავს მადლიერების დღეს ამერიკისმცოდნეობის პროგრამის სტუდენტების ორგანიზებით. წელს ეს დღესასწაული განსხვავებულ ფორმატში აღინიშნა, 27 ნოემბერს გიორგობასთან ერთად ამერიკისმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტებმა აღნიშნეს მადლიერების დღესასწაული, ღონისძიებას დაესწრნენ IBSU-ს რექტორი კახა შენგელია, აშშ-ს საელჩოს მრჩეველი საჯარო დიპლომატიის დარგში, ალექსანდერ დანიელსი, ემერიკელი ფულბრაიტელი მკვლევრები, პროგრამის სტუდენტები ლექტორები და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლები. ასევე ამ ღონისძიებას შეუერთდა ამერიკისმცოდნეობის მეორე კურსის სტუდენტი ელენ სიხარულიძე, მან შეასრულა საქართველოს და ამერიკის ჰიმნი და ამავდროულად იმღერა მადლიერების დღისადმი მიძღვნილი ჰიმნი ინგლისურ ენაზე, აღსანიშნავია, რომ ამ ღონისძიებაში აქტიურად იყო ჩართული კახა შენგელია, რომელიც დიდი ეთუზიაზმით ემზადებოდა მადლიერების დღისადმი დაკავშირებული ღონისძიების აღსანიშნავად. სუფრა ტრადიციულად აერთიანებდა სტუდენტების მიერ მომზადებულ ქართულ და ამერიკულ კერძებს, როგორიცაა ისპანახი, ხილი, ტკბილეულობა, ბაჟე და ინდაური.

## „როგორც კი ჟურნალისტები მიხვდებიან, რომ ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობის მქონე პროფესია, მაშინ შეიძლება ყველაფერი დალაგდეს"

*დავით ქაშიაშვილის ლექცია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში თემაზე - საგამოძიებო ჟურნალისტიკა*



20 სექტემბერს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის და მედიის კლუბის ორგანიზებით, ტელეწამყვანმა დავით ქაშიაშვილმა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის საგამოძიებო ჟურნალისტიკაზე საჯარო ლექცია წაიკითხა. შეხვედრაზე ბატონმა დავითმა თავისი პირველი ნაბიჯები გაიხსენა, დამსწრე საზოგადოებას პირადი გამოცდილება გაუზიარა,ისაუბრა ჟურნალისტიკის გარდამტეხ პერიოდებზე, გარემო ფაქტორებსა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე, რომლებიც მუდამ გავლენას ახდენდა ჟურნალისტების საქმიანობაზე, უნარ-ჩვევებზე, რომლებიც ჟურნალისტებს უნდა ჰქონდეთ წარმატებული კარიერისთვის. ასევე განიხილა ჟურნალისტიკის არც ისე წარმატებული სახე დღევანდელ რეალობაში, რასაც არაერთი გამომწვევი მიზეზი აქვს - „ყველა ჟურნალისტი რომ დარჩენილიყო საკუთარ პროფესიაში და არ წასულიყვნენ პოლიტიკაში კომფორტისთვის, გადარჩებოდა ჩვენი პროფესია". ასევე ბატონმა დავითმა ლექციაზე განიხილა საგამოძიებო ჟურნალისტიკა, ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვანია ამ მიმდინარეობისთვის, რესპოდენტებთან სწორი ურთიერთობისათვის, და ამომწურავად გააცნო დამსწრე საზოგადოებას ჟურნალისტიკაში არსებული ზოგადი ვითარება, სპეციფიკა და მხარეები. ლექციის ბოლოს სტუდენტების შეკითხვებსაც უპასუხა.

## საქართველოს 18 კერძო უნივერსიტეტს შორის IBSU მე-2 ადგილს იკავებს




AD Scientific Index-ის ბოლო 6 წლის ციტირებების ინდექსის მაჩვენებლის მიხედვით, საქართველოს 18 კერძო უნივერსიტეტს შორის IBSU მე-2 ადგილს იკავებს, ხოლო კერძო უნივერსიტეტებს შორის მეცნიერთა აკადემიური პროდუქტიულობის მიხედვით მე-5 ადგილზეა.

აღსანიშნავია, რომ IBSU-ს აფილირებული ასოცირებული პროფესორი, დოქტორი, აზერ დილანჩიევი, AD Scientific Index-ის მიხედვით, საქართველოს უნივერსიტეტებს შორის, ეკონომიკის დარგში პროდუქტიულობის მხრივ მე-2 ადგილს იკავებს. IBSU -ს მიერ ხსენებული ნიშის დაკავება წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ აკადემიური საქმიანობის ხელშეწყობის პოლიტიკის შედეგს.

# IBSU-ს ვიზიტი,დრეზდენის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში

**სოფო ლოლაძე**



**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. კახა შენგელია უნივერსიტეტის დელეგაციასთან ერთად სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა გერმანიაში, დრეზდენის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში.**

**ვიზიტის ფარგლებში დელეგაცია შეხვდა დრეზდენის უნივერსიტეტის რექტორს, პროფ. კეტრინ სალჩერტს, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელს, იულიანა ტეპეს და კომპიუტერული მეცნიერებისა და მათემატიკის ფაკულტეტის პროფესორს, მარიო ნოუგებაუერს.** შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ბოლო 5 წლის მანძილზე მჭიდროდ თანამშრომლობს დრეზდენის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტთან როგორც სტუდენტების და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობის, ასევე ერთობლივი სამეცნიერო თუ სასწავლო პროექტების განვითარების მიზნით.

**"ჩვენი და სამეცნიერო უნივერსიტეტის თანამშრომლობა ხუთ წელს ითვლის, IBSU არა ერთ ახალ და საინტერესო პროექტს გეგმავს ამ უნივერსიტეტთან"**- ინტერვიუ მარინა რაზმაძესთან.

**როგორ დაორგანიზდა ბატონი კახა შენგელიას დრეზდენის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში ჩასვლა?**

-როგორც ამ საერთაშორისო პროგრამის ხელმძღვანელს დამიკავშირდნენ და დამპატიჟეს ოფიციალურ გახსნაზე გერმანიაში. ამ წინადადების შემდეგ,შევთავაზე, ბატონ კახა შენგელიას და ერთად მივიღეთ მონაწილეობა გახსნის ცერემონიალზე.

**რა მიზანი ჰქონდა მეცნიერებათა უნივერსიტეტში სტუმრობას?**

-ვისაუბრეთ სამომავლო გეგმებზე,ასევე შევხვდით ჩვენს სტუდენტებს. 2023წლის სექტემბერში დაფინანსებით გაემგზავრა, ექვსი სტუდენტი,რომლებიც დღესაც იქ სწავლობენ და იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებაში.. იქ ყოფნის პერიოდში ჩავატარეთ ტრენინგები და სხვადასხვა ვორკშოფი,სადაც აქტიურად მონაწილეობდნენ სტუდენტები. ვფიქრობ,საკმაოდ ნაყოფიერი იყო ჩვენი ვიზიტი,რადგან ვესაუბრეთ როგორც აქედან წასულ ,ასევე იქ მყოფ სტუდენტებს,ვკითხეთ სამომავლო გეგმებსა და მიზნებზე. როგორც ვიცი, უკვე ხუთი წელია აქტიურად თანამშრომლობთ ამ კონკრეტულ უნივერსიტეტთან.

**- რა შედეგი გამოიღო ამ დროის მანძილზე მათთან თანამშრომლობამ?**

ჩვენ მათთან თანამშრომლობით,ჩვენს სტუდენტებს ვთავაზობთ იბსუ-ს ორმაგი დიპლომის ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამას, სადაც სტუდენტს შეეძლება მიიღოს სიღრმისეული განათლება თავის პროფესიაში. ამასთან ერთად ლაპარაკია იმაზეც,რომ „ჰორაიზონ ევროპის" პროგრამებში ერთობლივად მივიღოთ მონაწილეობა.აქვე დავამატებ,რომ ამ უნივერსიტეტთან თანამშრომლობამ მოგვცა საშუალება, საქართველოდან პირველად წასულიყო IBSU-ს სტუდენტი- ნისან იოსაბაშვილი, რომელმაც გაიარა ერთ კვირიანი სტაჟირება, სადაც გააკეთა პროექტი და დაბრუნების შემდეგ,პროექტის გეგმა ბაბუის საწარმოში განახორციელა.

**- რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის თქვენს გერმანიაში ვიზიტს?**

ერთი მხრივ,ახალი კონტაქტები მნიშვნელოვანია ჩვენი უნივერსიტეტის განვითარებისთვის, იმისთვის, რომ მეტი ადამიანი ფლობდეს ჩვენი უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციას,როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მეორე მხრივ, სტუდენტებს საშუალებას ვაძლევთ უფრო განვითარდნენ და მეტი გაიგონ როგორც გაცვლითი ,ასევე სხვა მნიშვნელოვანი პროგრამების შესახებ.

**- რა მნიშვნელოვანი აქტივობა დაიგეგმა გერმანიაში ყოფნის დროს?**

-ბატონმა კახამ შესთავაზა რამდენიმე მნიშვნელოვანი წინადადება, რომელიც ეხება „ერაზმუსსა" და „ჰორაზან ევროპის" პროექტებს. ასევე რამდენიმე გეგმა ბიზნესის კუთხით, კონკრეტულად ორმაგი დიპლომის პროგრამის განხორციელების თვალსაზრისით. სამომავლოდ დაიგეგმა შეხვედრები, სადაც უფრო დეტალურად ვისაუბრებთ წამოჭრილ საკითხზე და მოვძებნით იმ დაფინანსების წყაროებს, რის საშუალებითაც შევძლებთ ამ პროექტებში აქტიურ მონაწილეობას.

# დრეზდენის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის პროფესორი, მარიო ნიუგებაუერი, გერმანელ სტუდენტებთან ერთად IBSU – ს ეწვია

**ანა ლეჟავა**

**კომპიუტერული მეცნიერებების პროგრამის ბაკალავრიატის მეოთხე კურსისა და სამაგისტრო სტუდენტებისათვის, 13-24 სექტემბერს დრეზდენის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის პროფესორის, მარიო ნიუგებაუერმა სემინარი Telepresence Robot ჩაატარა.** სემინარში მონაწილეობას იღებდა დრეზდენის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის HTW ექვსი მაგისტარნტი. სემინარის პირველი ეტაპი 13-17 სექტემბერს ონლაინ ჩატარდა, ხოლო მეორე ეტაპი 20-24 სექტემბერს თბილისში, IBSU - ს კამპუსში.

**„მათი ჩამოსვლით ბევრი ახალი აქტივობა დაიგეგმა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერიტეტის და დერეზდენის უნივერსიტეტს შორის"** - მედინა მამედოვა.

ვორქშოფის მთავარი თემა ტელემართვის რობოტის განვითარება იყო, იგი დაფუძვნებულია Arduino Raspberry სისტემებზე და ზოგიერთ სენსორზე, რომელიც დაკავშირებულია რობოტის ორიენტაციისა და ნავიგაციის ფუნქციებთან. ვორქშობის ერთ-ერთი ნაწილი იყო ტელემართვად რობოტთან კომუნიკაციის დამყარების მიზნით Android მოწყობილობებისთვის პროგრამების შემუშავება. IBSU - ს სტუდენტები დრეზდენის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსტიტეტის პროფესორთან და მის გერმანელ სტუდენტებთან ერთად იყვნენ მცხეთაში, ჯვარში, შემდეგ ესწრებოდნენ ლექციებს, გერმანელი სტუდენტები კარგ კომუნიაციაში შევიდნენ IBSU-ს სტუდენტდებთან, დაუხალოვდნენ ინფორმატიკის ბავშვებს და ერთად ბევრი აქტივობის მონაწილენი გახდნენ. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან დრეზდერის უნივერსიტეტში წასული არის ორი სტუდენტი: ლუკა რაქვიაშვილი და ლუკა გუმბერიძე, რომლებიც იქ განაგრძობენ სწავლას და იღებენ გამოცდილებას.



დრეზდენის უნივერსიტეტი IBSU-სთან 4 წელია თანამშრომლობს, წლევანდელი ვიზიტი, სამწუხაროდ, ისეთი ხანგრძლივი არ გამოდგა, როგორც წინა ვიზიტი. **„ჩვენი სტუდენტები შევახვედრეთ გერმანელ სტუდენტებს და ლექტორებს, გაუზიარეს ერთმანეთს თავიანთი გამოცდილება, რაც ძალიან საინტერესო იყო, თითოეულმა სტუდენტმა წარადგინა პროექტი, როგორც გერანელმა, ასევე ჩვენმა სტუდენტებმა"** - მარინა რაზმაძე

# საქართველოს ინტერნეტმმართველობის მე-9 ფორუმი IBSU - ში

**ანა გლოველი**



კვლევა განხორციელდა. კვლევის შედეგების თანახმად, ახალგაზრდების სოციალური მედიის გამოყენების მთავარი რისკებია კიბერბულინგი, დეზინფორმაცია, ინტერნეტდამოკიდებულება, პერსონალური ინფორმაციის შელახვა, ილუზიონურ სამყაროში ცხოვრება და სხვ. [illegible]

**IBSU-ს ციფრული მედიისა და კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის ლექტორებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ინტერნეტმმართველობის მე-9 ფორუმში, რომელიც USAID-ის, ევროკავშირის, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის, [illegible] სამინისტროსა და სხვა ორგანიზაციების მხარდაჭერით გაიმართა.** [illegible]



# აშშ-ს ელჩმა საქართველოში რობინ დანიგანმა IBSU-ს ამერიკისმცოდნეობის კონფერენცია გახსნა

**ლუკა ამბალია**



**აშშ-ს ელჩმა საქართველოში რობინ დანიგანმა IBSU-ს ამერიკისმცოდნეობის ყოველწლიური კონფერენცია გახსნა,** [illegible]

[illegible] ინტერსციპლინარული ხასიათის სოციალურ მეცნიერებების სკოლის [illegible]

# IBSU-ს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის კურსის ფარგლებში სემინარი და დისკუსია გაიმართა

**ლუკა შველიძე**

**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსის "მოლაპარაკებები და კონფლიქტების გადაწყვეტა" ფარგლებში გაიმართა სემინარი და დისკუსია.**



შეხვედრაზე განიხილეს ბერგოფის ფონდის მიერ მომზადებული ანიმაციები ენგურის ორივე მხარეს მცხოვრებთა ბიოგრაფიულ ინტერვიუებზე დაყრდნობით. შეხვედრის ფარგლებში მოწვეულმა სტუმრებმა, **სოფო გოგსაძემ** და **მარიამ ცხოვრებაშვილმა** სტუდენტებთან ერთად განიხილეს ფონდის მიერ შეგროვებული ასობით ინტერვიუდან რამდენიმეს საფუძველზე მომზადებული ანიმაციები, რომელიც შეირჩა 1992/93 წლების ომის შედეგად დაზარალებული ქართველი და აფხაზი მხარის პირადი ისტორიების არქივიდან. როგორც უკვე იცით, ბერგოფის ფონდის მიერ შექმნილი ანიმაციების ჩვენება გაიმართა აღნიშნულ შეხვედრაზე. ჩემთვის ძალიან დასამახსოვრებელი იყო ის რეალური ისტორიები, რაც მოვისმინეთ უშუალოდ იმ ადამიანებისგან, რომლებსაც საკუთარ თავზე აქვთ გამოცდილი ომის სიმძაფრით გამოწვეული ტკივილი, რომელთა მიმართაც შეუძლებელია ემპათიური არ იყო. ხაზგასასმელია ასევე ჩვენი, ახალგაზრდების, დამოკიდებულებები და შეხედულებები კონფლიქტის მიმდინარეობის, მათი გადაჭრის გზების თუ პერსპექტივების თაობაზე, რომელზეც გაიმართა დისკუსიები და აქტიური პოლემიკა. საბოლოო ჯამში ვიტყოდი, რომ იმ საქმის ლობიზმი, რასაც ზემოთაღნიშნული ფონდი ეწევა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ჩვენი თაობისთვის, ვინაიდან დავინახოთ არსებული რეალობა, მოვახდინოთ ღირებულებათა სწორი გადაფასება და გამოვიტანოთ რაციონალური დასკვნები.



# IBSU-ს სტუდენტებმა საქველმოქმედო ღონისძიება „გახდი სანტა" განახორციელეს

**გიორგი ერაძე**



IBSU-ს სტუდენტებისა და რამდენიმე სტუდენტური კლუბის, კერძოდ, საქველმოქმედო კლუბის, საინიციატივო ჯგუფის „ერთობის", International Students Integration Club და Asian Culture Club-ის ინიციატივით განხორციელდა საქველმოქმედო ღონისძიება სახელწოდებით „გახდი სანტა". აღსანიშნავია, რომ მსგავსი ღონისძიება არ ჩატარებულა პირველად და უკვე მეორე წელია, რაც სტუდენტები ამ საქმეში არიან ჩართულნი. ღონისძიების ფარგლებში, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ჩატარდა ფილმების ჩვენების საღამო, სადაც შემოსული თანხით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წევრებმა და სტუდენტებმა ერთ-ერთი ოჯახისთვის შეიძინეს საჩუქრები, პროდუქტები და სხვადასხვა ნივთები.

**„ჩვენი მიზანი იყო საახალწლოდ დავხმარებოდით ოჯახს და გაგვეხარებინა ბავშვები, რომლებსაც სადღესასწაულო განწყობა არ ჰქონდათ ფინანსური მდგომარეობის გამო. ISU-ში უკვე 3 წელია, რაც მსგავსი ღონისძიება იმართება, მაგრამ წელს მასშტაბური სახე მიიღო, რადგან საერთო ძალებით და რესურსებით ორგანიზატორებმა დავდეთ ის შედეგი, რაც არცერთ წელს არ ყოფილა. ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიც ჩატარდება ასეთი დონის პროექტი და უფრო ბევრ ადამიანს დავეხმარებით",** - ამბობს ერთ-ერთი ორგანიზატორი და სტუდენტი ნიკა ადეიშვილი.

აღსანიშნავია, რომ ეს ღონისძიება განხორციელდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პიარისა და მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსის თამარ შოშიაშვილის და გურამ აბაშიძის დახმარებით და მხარდამჭერით. ასევე ღონისძიების სპონსორები იყვნენ: „მზადაა", „დი რომა" და „მეჯიქ ქენდი".

# შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტების გამარჯვება ფრანკოფონიის კონკურსში

**ნინი კესარელი და სოფო ლოლაძე**



**AUF-ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოა, რომელიც განკუთვნილია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფრანგულენოვანი სტუდენტებისთვის.**

IBSU-ს სტუდენტურმა გუნდმა გაიმარჯვა ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს (AUF) მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც სტუდენტური მეწარმეობის განვითარების შესახებ რეგიონული პროექტის ფარგლებში გამოცხადდა. გამარჯვებული გუნდი მონაწილეობას მიიღებს ფინალურ კონკურსში, რომელიც ბუქარესტში 4-6 დეკემბერს გაიმართება.კონკურსის ფარგლებში, AUF ECO და ბუქარესტის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ეროვნული უნივერსიტეტის ხელშეწყობით, სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ თავიანთი ტექნიკური სტარტაპ იდეები წარმოედგინათ. IBSU-ს სტუდენტები ასევე დაესწრნენ ტრენინგს AUF-ის საქართველოს წარმომადგენლობის ოფისში, სადაც ტუნისის მენეჯმენტის სკოლის დოქტორმა, იმენ ყანჩელმა ტრენინგი ჩაატარა წარმატებული კომუნიკაციური უნარების გამომუშავების საკითხებთან დაკავშირებით.

**"მინდა წარმატება ვუსურვო მათ, ვინც სამომავლოდ იგივე კონკურსში მიიღებს მონაწილეობას"- ინტერვიუ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის სტუდენტ ნინი დოლიძესთან.**

**როგორ გაიგეთ ამ კონკურსის შესახებ?**

ჩემი ფრანგულის ლექტორისგან,ინგა ტყემალაძისგან მივიღეთ ინფორმაცია, რომ AUF-ის ორგანიზაცია კონკურსის ჩატარებას გეგმავდა.

**როდის დაიგეგმა ეს კონკურსი?**

AUF-ის ორგანიზაციამ კონკურსი, ჯერ კიდევ ოქტომბერში დაგეგმა, რის შემდეგაც აქტიურად ვადევნებდით ყველა სიახლეს თვალს და ჩვენი აქტიურობით და დაუღალავი მუშაობით, საბოლოოდ, მივიღეთ ძალიან კარგი შედეგი.

**რა პროცესი გაიარეთ ამ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად?**

გავიარეთ სხვადასხვა ეტაპი, როგორიცაა, პირველ რიგში, პროექტის გაგზავნა, მისი დეტალურად პრეზენტაცია და შემდგომ მომავალი წლების გეგმა, ხარჯები და ფინანსური მხარის დეტალური განხილვა, ფინალი ბუქარესტში, სადაც გავიარეთ 3 დღიანი ტრენინგი და წარვადგინეთ სტარტაპ იდეა ჟიურის წინაშე.

**რა იყო კონკურსის მთავარი მიზანი?**

ჩვენმა სტუდენტურმა გუნდმა, მონაწილეობა მიიღო ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოს (AUF) კონკურსში, რომლის ფინალური შეხვედრა ბუქარესტში გაიმართა. კონკურსის მთავარი მიზანი იყო ისეთი სტარტაპ ბიზნესის იდეების შექმნა, რომელიც შენს ქვეყანაში არსებული პრობლემის აღმოფხვრაში დაგეხმარებოდა.

**რა კრიტერიუმებით შეირჩა კონკურსანტები?**

კრიტერიუმებით არ შერჩეულან მონაწილეები, შევქმენით 4 კაციანი გუნდი და შემდეგ ორგანიზაციამ აარჩია ერთ-ერთ გუნდი საქართველოდან, რადგან იყო საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან გაგზავნილი აპლიკაციები და სტარტაპ იდეები, თუმცა აგვარჩიეს ხუთი გუნდიდან მხოლოდ ერთი გუნდი ფინალისთვის.

**რა სახის პროექტი წარადგინეთ?**

ეს იყო ფრანგულენოვანი პროექტი, სადაც ჩვენმა გუნდმა - "LibertyMarket Georgia, Université Internationale de la Mer Noire de Géorgie." წარადგინა პროექტი, რომლის მთავარი მიზანია სტარტაპების ბიზნესების ხელშეწყობა.

**თქვენს გარდა ვინ წარადგინა პროექტი?**

პროექტ „Transformer les bonnes idees en start up"-ში ჩემს გარდა, კონკურსში მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი ფაკულტეტის სტუდენტები: ისმაილ აგაჯანოვი, ნატალი აბესაძე და ეთერი ივანიძე.

**იყო თუ არა უნივერსიტეტის მხრიდან ხელშეწყობა?**

ვინაიდან, ეს კონკურსი სტუდენტური მეწარმეობის განვითარების შესახებ რეგიონული პროექტის ფარგლებში გამოცხადდა, როგორც უნივერსიტეტმა ,ასევე, ლექტორმა ყველანაირად შეგვიწყო ხელი აღნიშნულ პროექტში მაქსიმალური შედეგის დასადებად.

**რა იყო კონკურსის პერიოდში ყველაზე დასამახსოვრებელი და საინტერესო?**

ყველაზე დასამახსოვრებელი და საინტერესო იყო იქ გატარებული დღეები და შეძენილი გამოცდილება. გავიცანით უამრავი ადამიანი, რომლებთანაც მარტივად დავამყარეთ კომუნიკაცია, ასევე ერთმანეთს გავუზიარეთ ჩვენი სამომავლო გეგმები, დეტალურად შევისწავლეთ ყველა საჭირო რამ, რაც სამომავლოდ უფრო დიდი წარმატების მომტანი იქნება ჩვენთვის. ასევე ჩართულები ვიყავით იქ არსებულ ღონისძიებებში.

**რომელი ადგილი დაიკავეთ და რა სახის პრიზი მიიღეთ?**

დავიკავეთ მესამე საპრიზო ადგილი და დავჯილდოვდით 300 ევროთი რა რჩევასაც მისცემდით მომავალ სტუდენტებს, ვისაც სურთ იგივე კონკურსში მიიღონ მონაწილეობა დიდი ხნის განმავლობაში იფიქრონ პროექტზე, გაითვალისწინონ შესაძლო პრობლემები, რასაც შეიძლება შეეჩეხონ, გაწერონ რეალური მომავლის გეგმა, როდის გავლენ მოგებაზე და რა საფეხურები იქნება ამისთვის საჭირო. რაც მთავარია, არ აქვს მნიშვნელობა ხარ თუ არა ბიზნესის სტუდენტი, თუ ხარ დაინტერესებული აღნიშნული თემით, აუცილებლად გადადგი ნაბიჯი. მოულოდნელი სიურპრიზები ყველაზე სასიხარულოა.

**სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ ამ გამარჯვებასთან დაკავშირებით, რისი მომტანია თქვენთვის ეს გამარჯვება?**

სამომავლოდ უფრო დიდი მოტივაციით ვეცდები პროექტის განვითარებას. პირველი ბიზნეს-კონკურსია, რომელშიც მონაწილეობა მივიღეთ. მე და ჩემი გუნდი ვაპირებთ განვავითაროთ აღნიშნული პროექტი და მოვიპოვოთ ბიზნეს-გრანტები და სახსრები რაც ესაჭიროება მის განხორციელებას.

# „IBSU"-ს პროდუქტიული აფილირებული პროფესორი"

**ანა მაზიაშვილი**



**ჩემთვის უდიდესი პატივი იყო ის მომენტი, როდესაც მშობლიური უნივერსიტეტისგან მერგო ეს ჯილდო...**

**-როგორია იყოთ წარმატებული ლექტორი?**

უპირველესად გამოვეხმაურები იმას, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამაჯილდოვეს ტიტულით „IBSU-ს ყველაზე პროდუქტიული აფილირებული პროფესორი". ჩემთვის უდიდესი პატივი იყო ის მომენტი, როდესაც მშობლიური უნივერსიტეტისგან მერგო ეს ჯილდო. ამავდროულად მოულოდნელი და ამაღელვებელიც, რომ ხუთეულში მოვხვდი. ეს ჯილდო მერგო გასული წლის სამეცნიერო აქტივობების გამო. ვფიქრობ, ეს ცერემონიალი ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ამბავი იყო, რაც განმიცდია ცხოვრებაში...

**-თქვენს სამეცნიერო აქტივობებზე, კონკრეტულად კი, კვლევებსა და პროექტებზე რომ მოგვიყვეთ დაწვრილებით.**

2010 წლიდან აქტიურად ვმონაწილეობ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და არაერთი კვლევითი სტიპენდია თუ კვლევითი ჯილდო მაქვს მიღებული. ყველაფერს ცხადია, ვერ ჩამოვთვლი... რაც შეეხება გასული წლის აქტივობებს, მოკლედ რომ გავიხსენო ისინი, განვახორციელე რამდენიმე კვლევა: ერთი, რომელიც წარვადგინე ევროპის კომუნიკაციის და კვლევის ასოციაციის აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის მედიამკვლევრების სექციის კონფერენციაზე. ჩემი ეს კვლევა ეხებოდა -ახალგაზრდებში სოციალური მედიის გამოყენების რისკებსა და განვითარების შესაძლებლობებს. აღნიშნული კვლევა გამოქვეყნების პროცესშია. გარდა ამ კონფერენციისა, მონაწილეობა მივიღე კიდევ ერთ კონფერენციაში, რომელიც ბერლინში გაიმართა და ერქვა სოციალურ მეცნიერებათა საერთაშორისო კონფერენცია. ამ კონფერენციაზე წარვადგინე მოხსენება, რომელიც ასევე სოციალურ მედიას ეხებოდა, ჩემი მოხსენების თემა იყო -,,სოციალური მედია, როგორც ინფორმაციის წყარო ახალგაზრდებისთვის". ეს კვლევაც გამოქვეყნების პროცესშია.გარდა ამისა, 2023 წლის ზაფხულში კიდევ ერთ საერთაშორისო კონფერენციაში მივიღე მონაწილეობა. ოღონდ ონლაინ, რადგან ფიზიკურად ვერ შევძელი ჩასვლა. ,,ჟურნალების მომავალი" - ასე ერქვა ამ სამეცნიერო კონფერენციას, რომელიც პირველად გაიმართა ლისაბონში. ჩემი კვლევის თემა იყო -ქართული ჟურნალების გამოწვევები ბეჭდურიდან ციფრულზე გადასვლის პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ წასვლას ვერ ვახერხებდი, ორგანიზატორებმა ონლაინ ჩართვა შემომთავაზეს. ასევე პოლონეთში გამოვაქვეყნე ორი კვლევა 2023 წელს. ერთი ეხებოდა დეზინფორმაციის გავრცელებას როგორც კოვიდის, ისე პოსტკოვიდურ პერიოდში. ეს კვლევა უკვე გამოქვეყნდა.

**-თქვენი აღნიშნული წარმატებები პროფესიისთვის და უშუალოდ სტუდენტებისთვის რა მნიშვნელობისაა და განათლების სისტემაზე როგორ მოქმედებს?**

გავიხსენებ ყველაზე მნიშვნელოვან პროექტს, რაც ბოლო წლებში განვახორციელე სწორედ სტუდენტებისთვის. აშშ-ს საელჩოს ქართული მედიაგანათლების პროგრამის ფარგლებში IBSU-სთვის მოვამზადე „ციფრული მედიისა და კომუნიკაციის" სამაგისტრო პროგრამა ჩიკაგოს ლოიოლას უნივერსიტეტის ციფრული მედიის პროგრამის ანალოგით, მისი დირექტორის პროფ. რიშელ როჯერსის ჩართულობითა და კონსულტაციებით.

**-ჩვენ ვამბობთ, რომ წარმატებული ხართ, რაც თითქოს მარტივად ჟღერს და მარტივადაც მოდის, თუმცა, რა სირთულეებთან და გამოწვევებთან არის დაკავშირებული ეს ყველაფერი?**

მთავარი გამოწვევები დაკავშირებულია კვლევების დაფინანსებასთან. წინა ადმინისტრაცია ზრუნავდა კვლევების ხელშეწყობაზე, კვლევების განვითარებაზე. მუშაობდა აკადემიური წახალისების პროგრამა, რის მიხედვითაც აფილირებული პროფესორი, რომელიც უცხოეთში გამოაქვეყნებდა ნაშრომს, ჰონორარს იღებდა. რაც მატერიალური წახალისება იყო. რამდენ სტატიასა თუ კვლევას გამოაქვეყნებდა, იმდენ თანხას იღებდა. ასევე ხდებოდა საერთაშორისო კონფერენციების დაფინანსებაც, რაც სტიმული იყო აფილირებული პროფესორებისთვის. უნივერსიტეტს წელიწადში ერთხელ შეეძლო დაფინანსება, დანარჩენს კი, პროფესორი თავისი ხარჯით ფარავდა. იმედი მაქვს, აკადემიური მიზნით პროფესორების მატერიალური წახალისების პრაქტიკა, იგივე ან კიდევ უფრო გაუმჯობესებული ფორმით გაგრძელდება ჩვენი უნივერსიტეტის ახალი მენეჯმენტის პირობებშიც.

**-დასავლური უნივერსიტეტები ახსენეთ, ვიცით, რომ გიწევთ უშუალოდ ამ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა, კონფერენციებში მათთან ერთად მონაწილეობის მიღება და საინტერესოა, როგორ შეადარებთ იქაურ სისტემას საქართველოს უნივერსიტეტებში არსებულ სისტემასთან?**

როგორც ევროპის კომუნიკაციისა და მედიის კვლევების ასოციაციისა და კომუნიკაციის საერთაშორისო ასოციაციების წევრს, მიწევს ხოლმე დასავლელ კოლეგებთან ურთიერთობა, როცა ამ ასოციაციების ორგანიზებულ კონფერენციებში ვმონაწილეობ. როგორც მათგან ვიცი, დასავლურ უნივერსიტეტებში ჩვენგან განსხვავებით, ცოტა სხვაგვარი სისტემაა კვლევების დაფინანსების, არაერთი საერთაშორისო ფონდი თუ პროგრამაა ამისთვის და გარდა ამისა, თავად უნივერსიტეტებიც სთავაზობენ თავის პროფესურას მცირე თუ მასშტაბურ საგრანტო პროექტებს

**-ახლა რა ეტაპზე ხართ?**

ახლა ვმუშაობ 3 სტატიის დასრულებაზე და გარდა ამისა წარდგენილი მაქვს სამი დაგეგმილი საერთაშორისო პროექტი ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. ძალიან მინდა, რომ სამივეში გავიმარჯვო. თუმცა, კონკურენციაც დიდია სხვა ქვეყნების მონაწილეებს შორის. თავს იმედით ვიიმედებ, რომ მინიმუმ ერთი პროექტი ხომ მაინც გაიმარჯვებს? ვგეგმავ ასევე საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობასაც, როგორც IBSU-ში, ასევე უცხოეთშიც, რადგან ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია უცხოურ კონფერენციებში მონაწილეობა, კოლეგების გაცნობისა და კონტაქტების გაღრმავების თვალსაზრისითაც

**-რას ურჩევდით სხვა ლექტორებს და სტუდენტებს, რომლებიც ცდილობენ წარმატებულები გახდნენ?**

კოლეგებს რა უნდა ვურჩიო, უხერხული იქნება ჩემგან, მაგრამ სტუდენტებს კი ვურჩევდი, ბევრი იშრომონ და ბეჯითად ისწავლონ, რათა მიზანს მიაღწიონ და წარმატებულნი იყვნენ პროფესიაში. ვურჩევდი, რომ სტუდენტობისას აუცილებლად სცადონ მონაწილეობა გაცვლით პროგრამებსა და სხვადასხვა სასწავლო თუ კვლევით სტიპენდიებში, რომლებსაც დასავლური ქვეყნები აცხადებენ ხოლმე. მიღების შემდეგ, მგონია, რომ ამის კიდევ უფრო მეტი შანსები ექნებათ.

# ახალი გაცვლითი პროგრამა IBSU-ში

ანანო ბლიაძე

2023 წლის შემოდგომის სემესტრი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში (IBSU) ცვლილებებითა და სიახლეებით გამოირჩეოდა, ამასთან ერთად გამონაკლისს არც საერთაშორისო ურთიერთობების ოფისი წარმოადგენს, წელს გაცვლითი პროგრამების სია კიდევ უფრო გაფართოვდა და IBSU-ს სტუდენტებს უფრო მეტი შესაძლებლობა ექნებათ რომ სხვადასხვა ქვეყნებში, გაცვლით პროგრამებში მიიღონ მონაწილეობა. კონკრეტულად რომელ ქვეყნებში და რა პროგრამები დაემატა უნივერსიტეტს ამაზე გაცვლითი პროგრამების კოორდინატორს, მედინა მამედოვას დავუკავშირდით.

“ამ წელს დაემატა, ახალი პარტნიორი კანარის კუნძულების საერთაშორისო უნივერსიტეტი, ამ უნივერსიტეტის წარმომადგენელი ჩვენთან დაესწრო საერთაშორისო კვირეულს, რის შემდეგაც შემოგვთავაზა ერასმუს პლუსის პროგრამა და ასევე სტაჟირება ჩვენი სტუდენტებისთვის. პროგრამაც და სტაჟირებაც, ეხებათ მხოლოდ განათლების, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ბაკალავრის სტუდენტებს. სასწავლო პროგრამა გახლავთ ინგლისური ფილოლოგია, ჩვენი უნივერსიტეტიდან გაზაფხულის სემესტრისთვის სულ 3 ვაკანტური ადგილია. განცხადებების მიღება 29 ნოემბერს დასრულდა და ახლა სტუდენტების შერჩევის პროცესი მიმდინარეობს თვითონ უნივერსიტეტის მხრიდან”, - განაცხადა მედინა მამედოვამ.

**ამჟამად შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სულ 34 გაცვლითი პროგრამაა, რომელიც ჯამში 28 ქვეყანას მოიცავს. რომელი კურსიდან შეუძლიათ სტუდენტებს მონაწილეობის მიღება და რა საფეხურები უნდა გაიაროს დაინტერესებულმა სტუდენტმა?**

“ვინაიდან შერჩევა ხდება GPA-ის მიხედვით, დაინტერესებული სტუდენტს 1 სემესტრი მაინც უნდა ჰქონდეს დასრულებული შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში. ჩვენი სიახლეები და ყოველი ახალი პროგრამის შესახებ ინფორმაცია იდება ჩვენს ვებ-გვერდზე. დაინტერესების შემთხვევაში სტუდენტებს შეუძლიათ მოგვმართონ ელ-ფოსტის საშუალებით ან მოვიდნენ ოფისში. ჩვენ სტუდენტებისგან ძირითადად ვითხოვთ სააპლიკაციო ფორმის შევსებას, სამოტივაციო წერილს და 2 სარეკომენდაციო წერილს ლექტორებისგან. ასევე უნდა გამოგზავნოს სასწავლო სერთიფიკატი, ინგლისური ენის B1 დონის და ასევე ნიშნების დამადასტურებელი. სტუდენტს ასევე უნდა ჰქონდეს Europass-ის CV, თუმცა თუ არ აქვს ჩვენ დავეხმარებით შექმნაში”, - აღნიშნა მან.

**კანდიდატის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით, იმედოვნებთ თუ არა რომ გაცვლითი პროგრამების რიცხვი გაზრდება და ამჟამად ხომ არ არის უკვე რაიმე შემოთავაზებები?**

“ჯერჯერობით ამასთან დაკავშირებული ახალი პროექტი არ არის, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ შემდეგი სემესტრიდან უფრო მეტი ახალი გაცვლითი პროგრამა დაემატება”, - დასძინა გაცვლითი პროგრამების კოორდინატორმა.

# „პროფესიულ ზრდაში დიდ როლს ასრულებს მაგისტრატურის პროგრამა“

სოფო ღლონტი



[illegible]

# ინტერვიუ აშშ-ს საგარეო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან - თეა ჯუმბურიძესთან

თეა ჯუმბურიძე



[illegible]

# „გვაქვს ძალიან კარგი ტექნიკური ბაზა, რაც გვიმარტივებს სასწავლო პროცესს“

ლუკა ამბალია



**ინტერვიუ IBSU-ს ინგლისურენოვანი კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტ ნიკოლოზ ხარშილაძესთან**

„როდესაც ბაკალავრზე ვაბარებდი მინდოდა IBSU-ში ჩაბარება, გარკვეული მიზეზების გამო ვერ ჩავაბარე. მაგისტრატურის დროს, განვიხილავდი რამდენიმე უნივერსიტეტს, თუმცა ჩემი არჩევანი IBSU-ზე შევაჩერე, რადგან მათი სამაგისტრო პროგრამა მაქსიმალურად უზრუნველყოფდა საფუძვლიან თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას კომპიუტერული მეცნიერების ფუნდამენტური და ინოვაციური მიმართულებებით. პროგრამა, როგორც მოვიძიე, ძალიან ბევრ საინტერესო მიმართულებას ითვალისწინებს, მაგალითად: თეორიულ კომპიუტერულ მეცნიერებას, სისტემების დიზაინსა და უსაფრთხოებას და ხელოვნური ინტელექტსაც. ასევე დავესწარი IBSU-ს ღია კარის დღესაც მაგისტრატურის სტუდენტებისთვის, რომელიც ძალიან მომეწონა და ასე თუ ისე, იქონია გავლენა ჩემს გადაწყვეტილებაზე.“

„თუ გჭირდება დასაქმება, საზღვარგარეთ წასვლა ან რაიმე მსგავსი, აუცილებლად გჭირდება უნივერსიტეტი, თუნდაც შუამავლად. სხვა შემთხვევაში ძალიან ძნელია კარგი გრაფიკით სამსახურის ნახვა, სტაჟირების გავლა და ა.შ. ამაში კი IBSU ძალიან მეხმარება. IBSU- ს თითქმის ყველა მაგისტრი დასაქმებულია ამ მხრივ, წამყვან პოზიციებზე, ბანკებსა თუ სხვადასხვა ორგანიზაციაში და ნორმალური ანაზღაურებაც აქვთ. აგრეთვე, გაცვლითი პროგრამების მხრივ ძალიან კარგი შესაძლებლობა გვაქვს, რადგან დიდი კონკურენცია არ არის. აღსანიშნავია, რომ გვაქვს ძალიან კარგი ტექნიკური ბაზა, რაც გვიმარტივებს სასწავლო პროცესს. ასევე პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან სტუდენტების მიმართ დამოკიდებულება ძალიან დასაფასებელია.ქალბატონითეათოდუა მაქსიმალურად კომუნიკაბელური და ორიენტირებულია, რომ სტუდენტებს ნებისმიერი საკითხის გარკვევაში დაგვეხმაროს.“

„ჩემს შემთხვევაში მნიშვნელოვანი იყო სწავლის საფასურიც, რადგან თითქმის ყველა უნივერსიტეტში კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა ძალიან ძვირი იყო. IBSU-მ უნივერსიტეტის შიდა დაფინანსებაც შემომთავაზა, რომელიც 30% შეადგენდა.“

# “არ ვნანობ, რომ ამდენი წლის მერე ჩავაბარე მაგისტრატურაზე”

ანკა ლეჟავა



**„არ ვნანობ, რომ ამდენი წლის მერე ჩავაბარე მაგისტრატურაზე“ ინტერვიუ IBSU-ს ინგლისურენოვანი, საერთაშორისო ურთიერთობების ,სამაგისტრო პროგრამის სტუდენტ- 26 წლის სოფიო ბერიძესთან** რომელმაც ბაკალავრი ასევე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში დაამთავრა. სოფიოს თავისი პროფესიით ჯერ არ უმუშავია, მაგრამ მომავლისთვის ძალიან დიდი გეგმები აქვს ამ სფეროსთან დაკავშირებით.

„ბაკალავრიატზე სწავლის პერიოდში ძირითადად ვიღებთ ცოდნას, ვაბარებთ 18 წლის ასაკში და ასე თუ ისე, არ ვართ ხოლმე ჩამოყალიბებულები, თუმცა იმ პერიოდშიც ზუსტად ვიცოდი, რომ ინგლისურენოვანი საერთაშორისო ურთიერთობები მინდოდა, ეს იყო ჩემი მისწრაფება, მაგრამ, მაგისტრატურაზე სწორად იაზრებ ფაქტებს, ამყარებ ცოდნას ისე,როგორც საჭიროა, ლექტორებსაც ამ დროს უფრო ანალიტიკური მიდგომა აქვთ სწავლის მხრივ და სტუდენტების მხრივ, ბაკალავრის ცოდნა ძალიან დამეხმარა იმაში, რომ ახლა უკვე მაგისტრატურის პერიოდში ანალიზი მოვახდინო ამ ყველაფრის.“

„IBSU-ში ჩაბარება გადავწყვიტე იმიტომ,რომ არის ძალიან კარგი გარემო, არიან ძალიან კარგი და პროფესიონალი ლექტორები,ერთ-ერთი მიზეზი ის იყო ibsu-ში ჩაბარების, რომ ბატონი ამირანის და ივანე მაჩიტიძის ლექციები მომესმინა.“

„თავიდან რომ ვაბარებდე მაგისტრატურაზე ისევ ibsu-ში ჩავაბარებდი, იმიტომ რომ ibsu ჩემთვის მართლა ყველაფერია, ბაკალავრის პერიოდში ვხუმრობდით კიდეც და იბსუს “IBSU family” ვეძახდით, მართლა ასეთი დამოკიდებულება გვქონდა ერთმანეთის მიმართ, სტუდენტებსაც და ლექტორებსაც.“

Qui quate parit fugit et il is et quodion e

# ამერიკელი პროფესორი სტუმრად IBSU-ში

მარიამ მხეიძე

**IBSU-ს ამერიკელი პროფესორი რობერტ მაკკენზი ესტუმრა, რომელიც 45 წელზე მეტია, აშშ-ში საგადასახადო სამართლის სფეროში მოღვაწეობს.**

პროფესორმა სტუდენტებს 2 კვირიანი სასწავლო კურსი ჩაუტარა, „სამართლებრივი ინგლისური ენა“ სტუდენტებისთვის ეს ორკვირიანი თავგადასავალი ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. მათ ამ კურსით უფრო გაიღრმავეს ცოდნა ადამიანთა უფლებებისა და ამერიკის საკონსტიტუციო სამართლის მიმართ. “მსგავსი კურსები ხშირად უნდა ტარდებოდეს, რადგან პირველ რიგში სასიამოვნოა კომუნიკაცია ასეთ ცნობილ პროფესორებთან და მათი გამოცდილებისა და ცოდნის მიღება. ეს, ვფიქრობ, მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ჩვენს განვითარებაში.”





# “ინგლისური ენის სწავლების ახალი ტრენდები”-ის შესახებ IBSU-ში კონფერენცია გაიმართა

ლუკა ცარციძე




**აშშ-ს საელჩოსთან თანამშრომლობით, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა უმასპინძლა განათლების კონფერენციას თემაზე – “ინგლისური ენის სწავლების ახალი ტრენდები,” რომელშიც 17 ამერიკელი ექსპერტი მონაწილეობდა.** კონფერენცია გახსნა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს კულტურის ატაშემ ევენ ქალიმ, ხოლო მთავარი მომხსენებლი იყო აშშ-ს საელჩოს რეგიონული ინგლისური ენის ოფისის დირექტორი ჯონ სილვერი. ასევე, კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს IBSU-ს რექტორმა კახა შენგელიამ და კონფერენციის თანაორგანიზატორმა ეკატერინე ფიფიამ. კონფერენციის შემდგომ გაიმართა ვორქშოპები, რომლებიც ეხებოდა აკადემიური წერის სწავლების სტრატეგიებს, ChatGPT-ის გამოყენებას სწავლების პროცესში, პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს ინგლისური ენის სწავლებაში, ინგლისური ენის როლს მედია წიგნიერებაში და ინგლისური ენის სწავლებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. **“შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ვუმასპინძლეთ კონფერენციას, რომელიც შეეხება ინგლისური ენის სწავლების თანამედროვე მიდგომებს. კონფერენციის ორგანიზატორი გახლავთ ამერიკის საელჩო თბილისში, რეგიონალური ოფისის წარმომადგენლობა ანკარადან და ზოგადად ინგლისური ენის პროგრამები ამერიკის საელჩოში. კონფერენციაში მონაწილეობას იღებს 17 ამერიკელი განათლების ექსპერტი, რომლებიც ჩამოვიდნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან ისინი დღეს სხვადასხვა სესიებში წარადგენენ “ვორკშოპებს”, მნიშვნელოვანია მსგავსი კონფერენციის ჩატარება, რადგან ეს კონფერენცია გათვლილია სკოლის მასწავლებლებზე დღეს კი, დაახლოებით 200 მასწავლებელს ვმასპინძლობთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან”** - განაცხადა კონფერენციის თანაორგანიზატორმა, პროფერსორმა და დოქტორმა, ეკატერინე ფიფიამ.

# IBSU საერთაშორისო კონფერენციაზე რუმინეთში

ანა მაზიაშვილი



**“ეს კონფერენცია არის კვლევის კულმინაციის მომენტი“**

17-18 მაისს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი რუმინეთში, ევროინტეგრაციის მე-19 საერთაშორისო კონფერენციაში ,,რეალობა და პერსპექტივები“ იღებს მონაწილეობას. თანათავმჯდომარე იქნება ,,IBSU”-ს ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, აფილირებული-ასოცირებული პროფესორი აზერ დილანჩიევი.

აღნიშნული კონფერენციაში, რომელიც უკვე 5 წელია ტარდება, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი 2 წელია მონაწილეობს. ამ კონფერენციასთან ეკონომიკის მიმართულება თანამშრომლობს, ამიტომ წელს აზერ დილანჩიევია თანათავმჯდომარე. თუმცა აღსანიშნავია, რომ სხვა პროგრამებსაც აქვს მონაწილეობის უფლება.

,,ეს კონფერენცია არის კვლევის კულმინაციის მომენტი” - განაცხადა ჩვენთან საუბარში ბატონმა აზერმა. მისი თქმით, ეს არის საუკეთესო საშუალება იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც მომავალში სურთ მეცნიერებაში რეალიზდნენ. ახალგაზრდა მეცნიერებისა და მკვლევრებისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ,,ისინი ამით ქმნიან ნეთვორქს, რაც მერე მომავალში დაეხმარებათ პროექტის ან კვლევის ჩატარებაში” -განაცხადა მან. გარდა ამისა, ნებისმიერი გამოქვეყნებული სტატია თუ კვლევა ღირებულებას იძენს, მას შემდგომში ციტირებენ და სხვადასხვა მნიშვნელოვანი საქმეებისთვის იყენებენ.

დაფინანსება უნივერსიტეტის მხრიდან არ ხდება. ,,როცა გიყვარს ეს საქმე, ამაზე უკვე დამოკიდებული ხდები“, აზერ დილანჩიევი. თუმცა ფინანსური მხარდაჭერა ყველა პროექტისთვის მნიშვნელოვანია, რადგან უფრო მეტის მიღწევის შესაძლებლობაა.

ევროინტეგრაციის მე-19 საერთაშრისო კონფერენცია ,,რეალობა და პერსპექტივები“ ინგლისურ ენაზე ტარდება და დასწრება შესაძლებელია როგორც ონლაინ, ისე პირისპირ.

# IBSU-ში საქართველოს ბანკის სასტიპენდიო პროგრამა დაიწყო — რა უნდა იცოდე

ანა გლოველი




**საქართველოს ბანკის სასტიპენდიო პროგრამა, რომელიც სტუდენტებს სწავლის დაფინანსების შესაძლებლობას აძლევს, კვლავ გრძელდება და მასში უფრო და უფრო მეტი უნივერსიტეტი ერთვება.**

შრომისმოყვარე და მიზანდასახული სტუდენტები საქართველოს ბანკის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტიპენდიის მოპოვებას შეძლებენ, თუ მათი უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებენ. საქართველოს ბანკის პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის ერთ-ერთი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტია.

სტიპენდიის მოპოვება შეუძლიათ მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ საბაკალავრო პროგრამე: საერთაშორისო ურთიერთობები,კომპიუტერული მეცნიერება, ბიზნესის ადმინისტრირება, ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, და საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი და სამართალმცოდნეობა, აქვთ 3.8-ზე მაღალი GPA და ხვდებიან შესაბამისი პროგრამის სტუდენტებს შორის ტოპ ათეულში.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო ინგლისურენოვანი და ქართულ ენოვანი პროგრამები სტუდენტებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლებით უზრუნველყოფს. პროგრამა აკავშირებს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს და განაპირობებს კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე. კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი პროგრამები ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადია უნივერსიტეტის 40 პროგრამას შორის. კურსდამთავრებულებს პროგრამა აძლევს საფუძვლიან თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას კომპიუტერული მეცნიერების ფუნდამენტურ და თანამედროვე მიმართულებებში, კომპიუტერული მეცნიერების მათემატიკური საფუძვლები, ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები, კომპიუტერული სისტემები, ქსელები და მათი უსაფრთხოება, მონაცემთა ბაზები, პროგრამული ინჟინერია, არქიტექტურა, ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური სწავლების მეთოდები და სხვა. რაც შეეხება ფინანსების, საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის, მენეჯმენტის და მარკეტინგის ბიზნესადმინისტრირების ინგლისურენოვან და ქართულენოვან პროგრამებს, ეს მიმართულებები სტუდენტებს საშუალებას აძლევს, თანამედროვე ბიზნეს გარემოს გამოწვევებს უპასუხონ და ხელს უწყობს მათ საკუთარი კარიერის დაგეგმვასა და განვითარებაში. სხვათაშორის, ამ მიმართულების სტუდენტებისგან დაკომპლექტებული გუნდები უკვე მესამე წელია, სტაბილურად იკავებენ საპრიზო ადგილებს საქართველოს ბანკის, საქართველოში აშშ-ს საელჩოს და TBSC Consulting- სტიპენდიის მოცულობა ნაწილობრივია. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი სტუდენტები, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება აქვთ უკვე არიან სახელმწიფო გრანტის მფლობელები და ასევე სარგებლობენ უნივერსიტეტის შიდა გრანტებით, სტიპენდიის მოცულობა განისაზღვრება ინდივიდუალურად. საქართველოს ბანკის სტიპენდიით სტუდენტებს დაუფინანსდებათ სასწავლო წლის მეორე სემესტრის დარჩენილი გადასახდელი თანხა, შესაბამისად, დაფინანსებას სავარაუდოდ, 25-30 სტუდენტი.

აღნიშნული პროგრამა მნიშვნელოვნად გაზრდის მოტივაციას და სტუდენტების ჩართულობას, რისი თქმის საფუძველს გვაძლევს ჩვენი სტუდენტების პოზიტიური უკუკავშირი აღნიშნულ სიახლესთან დაკავშირებით. პროგრამის დაანონსებამ მათში უკვე დიდი ინტერესი გამოიწვია.

# IBSU-ს პროფესორმა ნიკა ჩიტაძემ ავსტრიაში ორ ღონისძიებებში მიიღო მონაწილეობა

ლუკა შველიძე

**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორმა და საერთაშორისო კვლევების ცენტრის დირექტორმა, ნიკა ჩიტაძემ მონაწილეობა მიიღო ავსტრიაში ამავე ქვეყნის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ ორგანიზებულ ორ ღონისძიებაში.**




პირველი ღონისძიება, რომელსაც ვენამ უმასპინძლა მოიცავდა სამხრეთ კავკასიაშირეგიონულისტაბილურობის შემსწავლელი ჯგუფის (RSSC SG) მე-3 შეხვედრას და სახელმძღვანელო წიგნის პროექტის „ადამიანის უსაფრთხოების საფრთხეებისა და რისკების წინააღმდეგ მდგრადობის გაზრდა: საუკეთესო პრაქტიკიდან სტრატეგიებამდე“ განხილვას.

**რატომ არის მნიშვნელოვანი ასეთი ღონისძიებების ჩატარება? რას აძლევს იგი აკადემიურ და საზოგადოების ნაწილს?**

„პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მსგავსი ღონისძიებების ჩატარება მნიშვნელოვანია, მაგალითად, საერთაშორისო კონფერენცია, ამ შემთხვევაში პირველი ის, რომ აკადემიური სფეროს წარმომადგენელს, ამ შემთხვევაში, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სახელით და გარდა ამისა გარკვეულ წილად საქართველოს სახელით, საქართველოს წარმოადგენს და ეძლევა შესაძლებლობა გააკეთოს მოხსენება და საქართველოს შესახებ საკუთარი პოზიცია გააცნოს ექსპერტებს სხვადასხვა ქვეყნიდან, რადგან ღონისძიებაში მონაწილეობას იღებს 30-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი და ბუნებრივია საქართველოს ხედვა სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესების შესახებ გეოპოლიტიკური, ენერგეტიკული და დემოგრაფიული თვალსაზრისით და ეს მეტად მნიშვნელოვანიცაა“

**როგორი განწყობებია ევროპაში აკადემიურ წრეებზე კავკასიასთან მიმართებაში**?

„მეტად დადებითია, იმიტომ რომ საექსპერტო დონეზე მართლაც ჩანს, რომ ძალიან ბევრი ადამიანი, მაგალითად ევროპაში დაინტერესებულია სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოებით, მშვიდობიანი გზით მოგვარებით, ასევე სამხრეთ კავკასიის რეგიონში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებით, კანონის უზენაესობის გამტკიცებით და ცალმხრივ მნიშვნელოვანია უცხოელ ექსპერტებთან ერთად კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება მომავალთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება გაკეთდეს, იგივე საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში და მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონში, იმისთვის, რომ სამხრეთ კავკასიამ დაიკავოს თავისი კუთვნილი ადგილი ახალ გეოპოლიტიკურ თუ მსოფლიო წესრიგში.“

**რა იყო თქვენი მთავარი გზავნილი სამეცნიერო ნაშრომიდან გამომდინარე?**

„სამი მოხსენება გავაკეთე: პირველი საქართველოში არსებული დემოგრაფიული ვითარება და პრობლემის გადაჭრის გზები. მეორე ჩემი მოხსენება უკავშირდებოდა საქართველოს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და მწვავე ენერგიის განვითარების პერსპექტივებს და მესამე მოხსენება უკავშირდებოდა სამხრეთ კავკასიის რეგიონის, გეოპოლიტიკურ ასპექტებს ანუ, იმ ახალ გეოპოლიტიკურს, რომელიც შეიქმნა თუნდაც რუსეთ-უკრაინის ომის და სომხეთ-აზერბაიჯანის ომის შემდეგ.

**სამომავლოდ კავკასიის რეგიონი რა მთავარი უსაფრთხოების გამოწვევის წინაშე დადგება ?** „პირველ რიგში, ეს უკავშირდება მშვიდობის დამყარებას ერთის მხრივ სომხეთ-აზერბაიჯანს შორის საბოლოო მშვიდობის მიღწევა, საბჭოთა ხელისუფლება თავის მხრივ უნდა ითვალისწინებდეს რა თქმა უნდა სომხეთისთვის ყველანაირი სატრანსპორტო ბლოკადის მოხსნას და საქართველოსთვის ეს არის მნიშვნელოვანი, რომ მოხდეს ქვეყნისთვის ორი მნიშვნელოვანი საოკუპაციო ხაზის მშვიდობიანი გზით მოგვარება.“

# TI-ის ტრენინგი IBSU-ს ჟურნალისტიკის პროგრამის სტუდენტებისთვის

ლუკა შველიძე

**ღია მონაცემთა ბაზების გამოყენების შესახებ IBSUS-ს საბაკალავრო ჟურნალისტიკის პროგრამის სტუდენტებისთვის ტრენინგი გაიმართა.**

ტრენინგს, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” მიერ იყო ორგანიზებული, დაესწრნენ მიმდინარე სემესტრში არჩევით საგანზე “საგამოძიებო ჟურნალისტიკა” დარეგისტრირებული სტუდენტები.

’’ტრენინგი საინტერესო გამოდგა, რადგან გავეცანით ღია მონაცემთა ბაზებთან მუშაობას საგამოძიებო ჟურნალისტიკის საგნის ფარგლებში. შევისწავლეთ სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები და სახელმწიფო ტენდერის სახეები.’’ ტრენინგის მონაწილე მელანო ჭეიშვილი

ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები, სახელმწიფო ტენდერების სახეები, სამთავრობო ღია მონაცემთა ბაზებთან მუშაობა და “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს” მიერ შექმნილი საძიებო სისტემების გამოყენება.





# საახალწლო განწყობა
# შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში

































# “ამჟამად ERASMUS + ის პროგრამით პოლონეთში ვიმყოფები”-ინტერვიუ გულჟან ბოტანოვთან

ეთა სულუხია



**გულჟან ბოტანოვა - სტუდენტი ყაზახეთიდან, რომელიც სწავლობს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში არქიტექტურის პროგრამაზე უკვე ოთხი წელია. ამჟამად იგი იმყოფება გაცვლითი პროგრამით პოლონეთში.**

**გულჟან, თქვენ გაცვლითი პროგრამის მონაწილე ხართ, რომელ ქვეყანაში და რომელ უნივერსიტეტში ხართ ახლა?**

-ამჟამად ვიმყოფები პოლონეთში, ქალაქ ჟეშოვის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში ვსწავლობ არქიტექტურის ფაკულტეტზე.

**რამდენი ხანია რაც მანდ ხართ და რამდენ სემესტრს მოიცავს გაცვლითი პროგრამა , რომელშიც მონაწილეობა მიიღეთ?**

-გაცვლითი პროგრამით პოლონეთში ერთი სემესტრით წამოვედი. უკვე ჰთვენახევარია , რაც აქ ვარ და ახლახან გავიაზრე, რომ მხოლოდ ერთი თვე დამრჩა პროგრამის დასრულებამდე.

**ყველა სტუდენტს აინტერესებს თუ როგორ შეიძლება გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა და რა ეტაპების გავლაა საჭირო. თქვენ რომელი გაცვლითი პროგრამით წახვედით და რა ეტაპები გაიარეთ წასვლამდე?**

-Erasmus+ -ის გაცვლითი პროგრამით წავედი საზღვარგარეთ სასწავლებლად. მეორე კურსიდან ვოცნებობდი გაცვლით პროგრამაში მონაწილეობაზე და ეს ოცნება მეოთხე კურსზე ავისრულე და წამოვედი სასწავლებლად ერთი სემესტრით პოლონეთში. Erasmus + ის პროგრამამ ყველა ხარჯი დამიფინანსა, რაც აქ სწავლის პერიოდში მქონდა და მაქვს.

**როგორი იყო თქვენი პირველი ემოციები ახალ ქვეყანასა და უნივერსიტეტში?**

-ჩემი პირველი ემოციები ძალიან დიდი იყო. პირველად ვიყავი ევროპაში სასწავლებად , ვგრძნობდი, რომ ატმოსფერო განსხვავებული იყო. მე შევხვდი ახალ ადამიანებს, მათ ვინც ჩემსავით გაცვლით პროგრამაში მონაწილეობდნენ. ქალაქი, სადაც მე ვარ პატარა და მომხიბვლელია. უნივერსიტეტს რაც შეეხება, საკმაოდ დიდი უნივერსიტეტია, აქვს უამრავი კამპუსი A-დან W-მდე და 10-ზე მეტი ნომრით. ჩემი ლექციები ძირითადად P არქიტექტურულ ბლოკში, M და V-ში ტარდება.

**გქონდათ თუ არა კულტურული შოკი?**

-დიახ, აქ მოსვლის პირველივე დღიდან მქონდა კულტურული შოკი. თავიდან საკმაოდ გამიჭირდა. გარდა ამისა, მე ავირჩიე მეცხოვრა ბინაში და არა საერთო საცხოვრებელში, როგორც ამას ერაზმუსის სტუდენტების უმეტესობა აკეთებს. ჩემი ოთახის მეზობლები ყაზახი გოგოები არიან, ისინი ჟეშოვში ჩამოსვლამდე გავიცანი. მე მოვედი სექტემბრის ბოლოს და სხვა გოგოები მოვიდნენ ხუთი დღის შემდეგ, ასე რომ, პირველ კვირას მარტო ვცხოვრობდი, თუმცა ასე თუ ისე, მაინც ყველაფერი კარგად იყო. პირველი დღე, როცა მოვედი, შაბათი საღამო იყო, ამიტომ მაღაზიები და საკვების ბაზრებიც კი დაკეტილი იყო. კვირას ძლივს ვიპოვე პატარა ბაზარი. პოლონელები ცივები იყვნენ და უნდოდათ, რომ პოლონურად მესაუბრა. ასე რომ, პირველი თვე არც ისე ადვილი იყო, მაგრამ ყველაფერმა ჩაიარა. გარდა ამისა, პოლონელების უმეტესობას არ შეუძლია ან ერიდება ინგლისურად ლაპარაკს. ვფიქრობ, რომ თუ გსურს აქ დიდხანს დარჩენა, უმჯობესია ისწავლო პოლონური ენა.

**რით განსხვავდება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი იმ უნივერსიტეტისგან, რომელშიც ახლა იმყოფებით?**

-ჟეშოვის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისგან განსხვავებულია. იგი დიდია და მსოფლიო უნივერსიტეტებს შორის საკმაოდ პოპულარული და მოთხოვნადია. აქ ლექტორებიც მომთხოვნი არიან, მაგრამ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შუალედური და ფინალური გამოცდები უფრო მომწონს, აქ სტუდენტებიც უფრო მეგობრულნი არიან.

**არის თუ არა სხვადასხვა საუნივერსიტეტო აქტივობები და კლუბები, რომლებშიც მონაწილეობას იღებთ?**

-თავიდან რამდენიმე ღონისძიება გაიმართა გაცვლითი სტუდენტებისთვის და ყველა მათგანს დავესწარი. ტარდება კონკურსები და კლუბები არქიტექტორებისთვის, თუმცა ეს უფრო ადგილობრივი სტუდენტებისთვის არის. ერასმუს პლუსის გაცვლითი პროგრამის მონაწილე სტუდენტებისათვის იგეგმება ასევე პოლონეთის ქალაქებში სამოგზაურო ტური, ყოველ კვირა არის კულტურული ღონისძიებები.

**რას ურჩევდით სტუდენტებს, რომლებსაც სურთ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება?**

-ვურჩევდი, რომ ბევრი იშრომონ მიზნის მისაღწევად. როგორც ზემოთ ავხსენი, გაცვლითი პროგრამის სტუდენტები დაკავებულნი არიან სასწავლო მოგზაურობით, უნივერსიტეტის ღონისძიებებით, ახლა კი გამოცდებით. ბევრჯერ მინახავს ერასმუსის სტუდენტები ბიბლიოთეკაში, ისინი ძალიან შრომისმოყვარეები არიან.

# ინტერვიუ ,ბრაგანსას პოლიტექნიკური უნივერსიტეტის, გაცვლითი პროგრამის სტუდენტ ელენე ბენდელიანთან

სოფო ღოღაძე

**“ვისაც სურს გაცვლით პროგრამებზე ნებისმიერ უნივერსიტეტში ისწავლოს,თუნდაც იქ, სადაც ახლა ვარ,ამისთვის დიდი შრომა და [illegible] მოუწევს”**



**ელენე, ამჟამად რომელ პროგრამას გადიხარ და რომელ უნივერსიტეტში სწავლობ?**

Erasmus+ Double Degree პროგრამით ,ბრაგანსას პოლიტექნიკური უნივერსიტეტის [illegible]

**როგორ [illegible] გაცვლითი პროგრამის [illegible]**

გაცვლით [illegible]

**რა იყო [illegible] პროგრამაში [illegible]**

მას შემდეგ, რაც აღმოვაჩინე გაცვლითის შესახებ, იროს ოფისში განცხადება შევიტანე. [illegible]

[illegible]

# „IBSU დამეხმარა საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაში“

მარი მხეიძე

**ინტერვიუ IBSU-ს სტუდენტ მარიამ ცისკაძესთან, რომელიც გაცვლითი პროგრამით პოლონეთში სწავლობს.**



**-მოგვიყევი თავიდან როგორ აღმოაჩინე ეს გაცვლითი პროგრამა და ვინ დაგეხმარა ამ გადაწყვეტილების განხორციელებაში?**

-აღნიშნული პროგრამა აღმოვაჩინე უნივერსიტეტის დახმარებით, ამ გადაწყვეტილების მიღებაში კი დიდი წვლილი შეიტანეს ჩემმა ლექტორებმა, რომელთა დახმარებითაც შევძელი გეგმის დასახვა, რაც საზღვრებს გარეთ სწავლას უკავშირდებოდა და საბოლოოდ, მისი განხორციელება.

**- რა წვლილი შეიტანა უშუალოდ IBSU-მ ამ წარმატების მიღწევაში?**

IBSU დამეხმარა საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაში და დიდი წვლილი შეიტანა ჩემი, როგორც სტუდენტის თვითრეალიზების საკითხში.

**-ხარჯებს რომ შევეხოთ, სწავლის რამდენი პროცენტი დაგიფინანსდა და რა დაფინანსებებს მოიცავდა უშუალოდ პროგრამა?**

-სწავლა იყო სრულიად დაფინანსებული და ამის გარდა, უშუალოდ პროგრამა მოიცავდა ერთჯერად სტიპენდიას, რაც აღემატებოდა 4000 ევროს.

**-რა პარალელებს გაავლებდი პოლონეთისა და საქართველოს სწავლების გეგმაზე?**

-სემესტრი ორივე ქვეყანაში მსგავსად მიმდინარეობს.სტუდენტებს აქაც აქვთ ისეთი აქტივობები, როგორიცაა ქვიზები, პრეზენტაციები და გამოცდები. ასევე, აქ დიდი ყურადღება ენიჭება სემესტრის ბოლოს შემაჯამებელ კომპლექსურ პრეზენტაციას, რითაც განისაზღვრება სტუდენტის საბოლოო ქულა.

**როგორ გაიარე ადაპტაციის პერიოდი?**

-თავდაპირველად, რა თქმა უნდა არსებობდა გარკვეული გამოწვევები, რაც უცხო გარემოსთან ადაპტირებას უკავშირდებოდა. თუმცა, გარემომ და სტუდენტებმა, რომელთაც შევხვდი, და მათ შორის ურთიერთობებმა,შესაძლებელი გახადეს, აღნიშნული პრობლემის მარტივად გადალახვა და შესაბამისად, გარემოსთან ადაპტაცია არც ისე რთული აღმოჩნდა, როგორც თავდაპირველად ველოდი.

**-შენ რომელ პროგრამაზე ხარ და რამდენად კმაყოფილი ხარ შენი გადაწყვეტილებწწით?**

-შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ვსწავლობ ამერიკისმცოდნეობის პროგრამაზე, თუმცა, ვინაიდან ამჟამინდელ უნივერსიტეტში ეს პროგრამა არ არსებობს, ავირჩიე კურსები, რაც მაქსიმალურად მიახლოებულია ამერიკისმცოდნეობის კურსებთან.

**-თუ საიდუმლო არ არის რომ გაგვიმხილო შენი სამომავლო გეგმები**

-სემესტრის დასრულების შემდეგ, ვბრუნდები საქართველოში, რათა დავასრულო ბაკალავრის საფეხური. სამომავლოდ კი, მსურს,მაგისტრატურის საფეხური ისევ ქვეყნის ფარგლებს გარეთ გავიარო.

# ინტერვიუ IBSU-ს ბიზნეს ადმინისტრირების გაცვლითი პროგრამის სტუდენტ ლიკა ასაშვილთან

გიორგი ერაძე



**რატომ გადაწყვიტე მონაწილეობის მიღება გაცვლით პროგრამაში?**

ბავშვობიდან მქონდა ოცნებად, რომ საზღვარგარეთ წავსულიყავი სასწავლებლად, კერძოდ კი ამერიკაში მინდოდა, თუმცა ისე გამოვიდა, რომ არჩევანი 3 ქვეყანას შორის უნდა გამეკეთებინა: საფრანგეთი, პოლონეთი ან გერმანია. მინდოდა რომ მაღალი განათლება მიმეღო და ისე დავბრუნებულიყავი საქართველოში, ამიტომ მოვხვდი პარიზში International Business School-ში.

**რა გამოცდილებები მიიღე უცხო ქვეყანაში სწავლის პერიოდში და რა სირთულეებს გადააწყდი ?**

გამოცდილებას რაც შეეხება, ჩემს ფაკულტეტზე ყველა სტუდენტი სხვადასხვა ქვეყნიდან იყო ანუ საერთაშორისო ფაკულტეტზე ვიყავი, როდესაც უცხო ქვეყანაში სრულიად მარტო ჩადიხარ გიწევს დაივიწყო შენი ენა, ეროვნება და მთლიანად აეწყო იმ ქვეყნის ცხოვრებას და მეც რომ ჩავედი მთლიანად ავეწყე ფრანგულ ცხოვრებას. ვფიქრობ, რომ ჩადიხარ უცხო ქვეყანაში უნდა იცოდე მათი კულტურა, რა არის მათთვის მისაღები და რა არა. რაც შეეხება სირთულეებს ვაღიარებ, რომ ძალიან რთული იყო. პირველი ერთი კვირა აღფრთოვანება და ინტერესი იყო და შემდეგი ორი თვე ძირითადად რომ ცდილობ, რომ უკან წამოსასვლელი ბილეთი არ იყიდო ეგეთი. ის კომფორტის ზონა, რომელიც შენს ქვეყანაში გაქვს, შენი მეგობრების და საყვარელი ადამიანების გარემოცვაში, უცბად ხვდები, რომ იზრდები და ყველაფერს თვითონ აკეთებ, მაგრამ ეს სხვა მხრივ ძალიან მაგარია, რადგფან ზუსტად ეს სირთულეები გაძლევს გამოცდილებას.

**რამდენად კმაყოფილი ხარ ამ გადაწყვეტილებით? (გაცვლით პროგრამაში მონაწილეობით) და შენი აზრით რას მოგცემს ის სამომავლოდ?**

ჩემი აზრით ეს ნაბიჯი საუკეთესო გადაწყვეტილება იყო ჩემს ცხოვრებაში, რადგან ვფიქრობ პირველ რიგში ეს დასაწყისია ჩემი სამომავლო გეგმების და თუ კი შევძელი 20 წლის ასაკში სრულიად მარტო ამეღო პასუხისმგებლობა ჩემს თავზე, წარმოვაჩინე, გამოვავლინე და დავიმკვიდრე თავი უცხო ქვეყანაში, სრულიად უცხო საზოგადოებაში ეს მოტივაციას მაძლევს, რომ კიდევ უფრო დიდი ნაბიჯები გადავდგა და დიდი ამბიციები დავისახო.

**ურჩევ თუ არა სხვა ბაკალავრის სტუდენტებს მონაწილეობის მიღებას გაცვლით პროგრამაში და რატომ?**

ყველას ვურჩევ ნებისმიერ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობას, რადგან ეს გაძლევს შანსს, რომ პირველ რიგში სულიერად გაიზარდო, ნახო უამრავი რამ, რადგან აქამდე ვერც წარმომედგინა რომ ასეთი ლამაზი რაღაცები არსებობდა. შეიძინო უამრავი მეგობარი სხვადასხვა ქვეყნიდან, გასინჯო ტრადიციული საჭმელები, რომელიც ვფიქრობ საუკეთესო ნაწილია და რაც მთავარია უკეთესად დაინახო თუ რა შეგიძლია სინამდვილეში და უკეთესად შეაფასო საკუთარი შესაძლებლობები.

**რამდენად განსხვავდება განათლების დონე ევროპულ და ქართულ უნივერსიტეტში?**

განათლების დონე სრულიად განსხვავებულია. ძირითადად სულ Case Study-ები მქონდა და ყოველ ლექციაზე პრეზენტაციები. ასევე ჩემი ლექტორებიც სხვადასხვა ქვეყნებიდან იყვნენ და ყველას სხვადასხვანაირი მიდგომა ჰქონდა, მაგრამ გამოცდები ძალიან მკაცრი იყო, რომელიც მინიმუმ ორი Case Study შედგებოდა და პასუხები აუცილებლად ვრცელი და კონკრეტული უნდა ყოფილიყო.



# ინტერვიუ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკათმცოდნეობის სტუდენტ მარიამ მეხრიშვილთან

ლუკა ამზალია

**„გაცვლითმა პროგრამამ ბევრი რამ მასწავლა როგორც კარიერულად, ასევე მის ფარგლებს გარეთ“ - ინტერვიუ IBSU-ს**



**ამერიკისმცოდნეობის მე-4 კურსის სტუდენტ მარიამ მეხრიშვილთან როგორ გაიგე უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამის შესახებ, რამ მოგხიბლა (უნივერსიტეტმა თუ სხვა ფაქტორებმა)?**

საკმაოდ პატარა ასაკიდან დავისახე მიზნად გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება და სხვა ქვეყანაში სწავლა. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის პერიოდმა ამ გეგმის განხორციელებაში ძალიან შემიშალა ხელი, საბოლოოდ მაინც მომეცა საშუალება მიმეღო მონაწილეობა გაცვლით პროგრამაში. ამაში, რა თქმა უნდა, IBSU-ს დიდი წვლილი მიუძღვის, რადგანსწორედუნივერსიტეტიდან გავიგე პროგრამის შესახებ, რის შემდეგაც, დაუფიქრებლად გადავწყვიტე საბუთების გაგზავნა.

**რა პროცესები გაიარე გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისათვის?**

ჩემთვის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება არც ისეთი მარტივი აღმოჩნდა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა, ვინაიდან მთლიანი ეს პროცესი საკმაოდ დამღლელი და სტრესული იყო, თუმცა წარმატების მომტანი ისევ და ისევ ჩემი აკადემიური მოსწრება და აქტიურობა აღმოჩნდა, შესაბამისად, დადებითად შეაფასეს ჩემი დოკუმენტები და ინტერვიუც წარმატებით გავიარე, რის შემდეგაც შემატყობინეს რომ შემეძლო ამ პროგრამის მონაწილე გავმხდარიყავი.

**რაიმე რთული ბარიერი ხომ არ ყოფილა, ამ დროს შენთვის?**

ყველა წარმატებას აქვს თავისი რთული ნაწილი, როგორც ზემოთ აღვნიშნე ეს პროცესიც საკმაოდ სტრესული იყო. ამ დროს გამოვიარე ნერვიულობა, გაურკვევლობა, დაბნეულობა და ასე შემდეგ, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი წარმატებით დამთავრდა და ჩემი გაწეული ეს შრომაც დაფასდა.

**როგორი იყო უნივერსიტეტის მხრიდან მხარდაჭერა, მზაობა?**

რა თქმა უნდა IBSU ამ დროს ძალიან დამეხმარა. როგორც გამოუცდელი სტუდენტი, რომელსაც არაფერი გაეგებოდა ამ პროცესების შესახებ, უნივერსიტეტი სრულიად მხარში დამიდგა და ეს პროცესი საკმაოდ გამიმარტივა.

**რამდენად მარტივი ან რთულია IBSU-ს გაცვლითი პროგრამებით სარგებლობა?**

ვერ ვიტყვი რომ ეს ყველაფერი მარტივია, თუმცა მიზანი და ამ მიზნისთვის თავდაუზოგავი შრომა ყოველთვის სარგებლიანია.

**რისი მომტანია გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა, სტუდენტისთვის?**

პირველ რიგში გასწავლის სირთულეებთან ბრძოლას, საკუთარი თავის განვითარებას და პრიორიტეტების გადახარისხებას. ამ ყველაფრის კეთება კი დამოუკიდებლად გიწევს, რაც ცხოვრებისეულად გზრდის და გაძლიერებს. ამ ყველაფერთან ერთად, დარწმუნებული ვარ ჩემს კარიერულ წინსვლაში ეს პროგრამა უმნიშვნელოვანეს როლს ითამაშებს.

**რამდენად განვითარდა შენი ცოდნა და კარიეული წინსვლები?**

გაგვიზიარე შენი გამოცდილება. ამ პროგრამამ ბევრი რამ მასწავლა როგორც კარიერულად, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ვფიქრობ, აქ ყოფნამ საკმაოდ განმავითარა და დამარწმუნა იმაში, რომ ახალ გამოწვევებს უარი არასდროს უნდა უთხრა.

**რა აღმოაჩინე ყველაზე საინტერესო საზღვარგარეთ,იმუნივერსიტეტში, სადაც ამჟამად სწავლობ?**

ჩემთვის ბევრი რამ აღმოჩნდა საინტერესო სხვა ქვეყანაში სწავლისას. ალბათ, გამიჭირდება ერთი კონკრეტულის გამორჩევა, ძალიან საინტერესოა ლექციების განრიგები, რითაც სტუდენტები სარგებლობენ. გამოცდების წყობა, და ზოგადად მათი სტუდენტური ცხოვრება.

**არის თუ არა განსხვავებები, ზოგადად სწავლის სისტემებს შორის?**

სწავლის სისტემაში , რა თქმა უნდა, იყო განსხვავებები, თუმცა არა ისეთი სერიოზული, რომ ამას რაიმე სირთულე მოეტანა ჩემთვის. არის პატარა განსხვავებები როგორებიცაა: ლექციების სტრუქტურა, მათი დილით ადრიანად დაწყება, გამოცდების თარიღები და ასე შემდეგ.

**საინტერესოა სტუდენტური ცხოვრებაც, რა აქტივობები ხორციელდება ამ მხრივ უნივერსიტეტში და როგორი არის შენი ჩართულობა?**

სტუდენტური ცხოვრება ყველაზე საინტერესო ნაწილი აღმოჩნდა ამ პროგრამის ფარგლებში. საერთო საცხოვრებელი კი ამაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს, რადგან უამრავ სხვა უცხოელ თუ პოლონელ სტუდენტთან ერთად ვცხოვრობ. შესაბამისად, სტუდენტური აქტივობები არც უნივერსიტეტში და არც მის გარეთ არ გვაკლია. ყოველდღიურად ვერთვებით სხვადასხვა აქტივობაში, რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ერთმანეთი კიდევ უკეთესად გავიცნოთ და დავახლოვდეთ.

**რას ურჩევ სტუდენტებს, რომლებსაც სამომავლოდ სურს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა?**

პირველ რიგში, ფსიქოლოგიურად უნდა იყვნენ მზად, რადგან სხვა ქვეყანაში მარტო ცხოვრება არც ისეთი მარტივია როცორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება დაინახო. მიუხედავად ყველაფრისა, თუ ეს მათი ოცნებაა ამისთვის დიდი შრომის გაწევა მოუწევთ. ვფიქრობ, თავდაჯერებულობა, აქტიურობა და მაღალი აკადემიური მოსწრება ყოველთვის წარმატების მომტანი იქნება მათთვის.

# ერაზმუსის გაცვლითი პროგრამის სტუდენტი ომარ მამედოვი

თიკა ჭუმბურიძე

**ომარ მამედოვი IBSU-ს კომპიუტერული მეცნიერების მესამე კურსის სტუდენტია, რომელიც ამჟამად ერასმუსის გაცვლით პროგრამის ფარგლებში იმყოფება პოლონეთის ქალაქ ჟ ე შ ო ვ შ ი .**

**როდის გაიგეთ გაცვლითი პროგრამის შესახებ და რომელი პროგრამით წახვედით სასწავლებლად?**

ერაზმუსის შესახებ სკოლის პერიოდში გავიგე ძალიან მინდოდა მონაწილეობა მიმეღო ერასმუსის გაცვლით პროგრამაში, რის შემდგომაც გავიარე რთული პროცესები, წარვადგინე საჭირო დოკუმენტები, ვესწრებოდი გასაუბრებას და მივიღე თანხმობა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან და ასევე მასპინძელი უნივერსიტეტიდანაც.

**რამდენი ხანია რაც გაცვლითი პროგრამით სარგებლობთ?**

ერასმუსის გაცვლითი პროგრამით 4 თვეა რაც ვსარგებლობ, მე ვიკვლევდი პოლონეთის მრავალფეროვან ასპექტებს, ვაკვირდებოდი მის უნიკალურ კულტურას და ვსწავლობდი ჟეშოვის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის აკადემიურ სირთულეებს. გამოცდილება რაც დამიგროვდა იყო პიროვნული და აკადემიური უნარ ჩვევების ნაზავი, რომელიც გამოირჩეოდა ინდივიდუალურ და ჯგუფურ პროექტებში ჩართვით, რომელიც არა მხოლოდ ხელს უწყობს შემოქმედებითობას და კრიტიკულ აზროვნებას, არამედ ავითარებს ეფექტურ თანამშრომლობას და გუნდურ მუშაობას.

**როგორ შეეჩვიეთ სწავლების ახალ მეთოდებს ახალ ქვეყანაში და რა სირთულეებთან არის დაკავშირებულ უცხო ქვეყანაში სწავლა?**

ერთი შესამჩნევი განსხვავება იყო აქცენტი ინტერაქტიური სწავლისა და თანამშრომლობითი პროექტების შესახებ ჟეშოვის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში. ჯგუფურ დისკუსიებში და პროექტებში ჩართვა სასწავლო პროცესის განუყოველი ნაწილი გახდა. კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარებმა გამოცდილება შემმატა. პროფესორებთან და კოლეგებთან რეგულარულმა მუშაობამ უფრო მეტი მასწავლა. უცხო ქვეყანაში სწავლა მიუხედავად იმისა, რომ მომგებიანი იყო, ასევე წარმოადგენდა გამოწვევებს, სასაუბრო ენა იყო დ ა ბ რ კ ო ლ ე ბ ა უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ შ ი , ზოგჯერ წარმოადგენდა ს ი რ თ უ ლ ე ს ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ ცხოვრებაში, მაგალითად საყიდლები, ადგილობრივებთან ურთიერთობა და თუმცა ამ გამოწვევამ ხელი შეუწყო ენის ათვისებას.

**რას ურჩევდით იმ სტუდენტებს, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამაში?**

პერსპექტიული გაცვლითი პროგრამებია სტუდენტებისთვის, მე რეკომენდაციას ვუწევ, რომ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში, რომ საინტერესო მოგონებები ჩამოიტანონ.

# ინტერვიუ IBSU-ს გაცვლითი პროგრამის სტუდენტთან - რატი კერესელიძესთან

ლუკა ცარციძე



**რატი კერესელიძემ, რომელიც მენეჯმენტის და პროგრამირების ფაკულტეტზე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სწავლობდა, განათლების მიღება გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გერმანიაში Westsჰchsische Hochschule Zwickau/ University of Applied Sciences Zwickau-ის უნივერსიტეტში გააგრძელა. რატომ გადაწყვიტე სწავლის გაცვლითი პროგრით გაგრძელება?**

ეს მაგისტრატურის პროგრამა შეიცავს 2 ყველაზე მნიშვნელოვან, ჩემს პროფესიასთან დაკავშირებულ სფეროს, მენეჯმენტს და პროგრამირებას, ასევე მთავაზობს(თუ არ ვცდები საქართველოში პირველად) ორმაგ დიპლომს, ერთი იბსუს, მეორე კი WHZ (გერმანული უნივერსიტეტის მხრიდან), ამიტომაც გადავწყვიტე, რომ ამ პროგრამაზე ჩაბარება ჩემი განათლების და კარიერისთვის სავალდებულო ნაბიჯი იყო. უნივერსიტეტის მხრიდან რომელი **ქვეყნების შემოთავაზება იყო და რატომ აირჩიე გერმანია?**

მე დაინტერესებული ვიყავი კონკრეტულად ამ პროგრამით. მეტი ქვეყანა არ იყო შემოთავაზებული რადგან ამ სპეციფიკური პროგრამისთვის და შემოთავაზებებისთვის მხოლოდ იბსუს და WHZ-ს ჰქონდათ შეთანხმება.

**კმაყოფილიხარ თუ არა მიღებული გადაწყვეტილებით? რატომ?**

დ ი ა ხ , რ ა თ ქ მ ა უ ნ დ ა საკმაოდ კმაყოფილი ვარ. როგორც ვახსენე ვფიქრობ, რომ ეს გადაწყვეტილება ჩემი მომავლისთვის სწორი ნაბიჯი იყო, ამასთან ერთად შევიძინე ახალი გამოცდილება და ვნახე როგორია საზღვარგარეთ ცხოვრება, რაც ჩემი აზრით ყოველთვის სასარგებლოა.

**რას ურჩევდი და რა გამოცდილებას გაუზიარებდი იმ სტუდენტებს, რომლებიც სწავლის გაგრძელებას გაცვლითი პროგრამით აპირებენ?**

აუცილებლად ვურჩევდი,რომ ეცადეთ მაქსიმალურად კონცენტრირდეთ სწავლაზე და კარგი შთაბეჭდილება დაუტოვოთ უცხოელებს საქართველოზე, მაგრამ ამავდროულად არ უნდა დაგავიწყდეს შენი თავი, ცოტა გაერთე განიტვირთე და გამოცადე უცხოური კულტურა. ხოლო თუ კი ფიქრობთ, რომ უცხოეთში ცხოვრება რთულია და არ შეგიძლიათ პირველი ნაბიჯის გადადგმა, დამერწმუნეთ აუცილებლად მალევე მიხვდებით, რომ იმაზე მარტივია ვიდრე გგონიათ და ყველაზე ნაკლებად ამ ფაქტორის უნდა გეშინოდეთ.

# ინტერვიუ IBSU-ს სტუდენტთან - ვიკა შევერდაშვილთან, რომელიც გაცვლითი პროგრამით გერმანიაში იმყოფება

ნინი კესარელი

**გაცვლითი** პროგრამის შესახებ როგორ გაიგეთ და რა პროცესები გაიარეთ პროგრამაში ჩართვისთვის?

- ერთ-ერთი მიზეზი რატომაც ჩავაბარე, იყო გაცვლითი პროგრამები. მთელი ჩემი ბაკალავრიატის წლები ვიბრძოდი იმისთვის, რომ რომელიმე გაცვლით პროგრამაზე მოვხვედრილიყავი. რა თქმა უნდა ხირად ვადევნებდი თვალს იბსუს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სიახლეებს გაცვლითების შესახებ, სწორედ აქ შევავსე პირველი აპლიკაცია და როდესაც ჩემს მონაცემებზე მორგებული გაცვლითი პროგრამა გამოჩნდა შემდეგ უკვე დამიკავშირდნენ შესაბამისი განყოფილებიდან და დავიწყეთ საჭირო დოკუმენტაციის მოგროვება.

**-რამდენად საჭიროდ მიგაჩნიათ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა, რისი მომტანია ეს გამოცდილება სტუდენტისთვის?**

-ვფიქრობ, ეს ყველა სტუდენტმა უნდა გაიაროს, ვისაც კი აქვს შესაძლებლობა. ახალი გარემო, ახალი მეგობრები, ახალი ქვეყნების თავგადასავლების ძიება. ეს ისაა, რაც სტუდენტების ცხოვრებას უფრო მრავალფეროვანს და საინტერესოს ხდის.

**-გერმანიაში მიღებული გამოცდილებიდან რას დანერგავდით საქართველოს უნივერსიტეტებშიც?**

-რომ გითხრათ ,,იბსუში” და ცვიკაუს მეცნიერებათა უნივერსიტეტში განსხვავებული მეთოდები და სწავლება არისთქო ვერ გეტყვით, იმიტომ რომ ვფიქრობ იბსუც ერთ-ერთი ევროპული უნივერსიტეტია თავისი სტანდარტებით. საქართველოს სხვა უნივერსიტეტებში კი ალბათ უფრო მრავლად შემოვიტანდი ინგლისურენოვან პროგრამებს და გავზრდიდი გაცვლითი პროგრამების დანერგვის გზებს.

**-მოგვიყევით სტუდენტურ ცხოვრებაზე,**

ბევრი აქტივობაა სტუდენტური ცხოვრების მხრივ. იმართება ღონისძიებები, ფორუმები, სტუდენტური საღამოები. რომ გითხრათ ვლიდერობდი ყველა ღონისძიების დაგეგმაშითქო მოგატყუებთ, ამას ძირითადად ადგილობრვი სტუდენტები აკეთებენ, მაგრამ ვცდილობ არც ერთი ღონისძიება არ გავუშვა ხელიდან და თითოელი მათგანისგან მივიღო სიამოვნება.

**- რას ურჩევთ სტუდენტებს, რომლებიც გაცვლით პროგრამაში მონაწილეობაზე ფიქრობენ/უნდათ/აპირებენ?**

- დაუფიქრებლად გადადგან ეს ნაბიჯი და გააკეთონ ყველაფერი იმისთვის, რომ სასურველ მიზანს მიაღწიონ. დამერწმუნეთ, აქ გელოდებათ სხვა სტუდენტური თავგადასავლები, ბევრი მეგობარი და საინტერესო გარემო, რომელიც თქვენზე დადებითად იმოქმედებს. და ბოლოს დიდი მადლობა ჩემს უნივერსიტეტს, მადლობა რომ იმედები არასოდეს გაუცრუებია ჩემთვის, აუცილებლად გავხდები იბსუს მაგისტრატურის სტუდენტი და ყველა შანსსს გამოვიყენებ რომელსაც ჩემი, თქვენი და ჩვენი უნივერსიტეტი სთავაზობს ყველა სტუდენტს.



# IBSU გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელს შეუერთდა

გიორგი ერაძე

20 ნოემბერს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელს შეუერთდა, რომლის მისიაა მდგრადი მიდგომების სტიმულირებითა და ბიზნესის ჩართულობით პროგრესული მომავლის შექმნა საქართველოში, გაეროს გლობალური შეთანხმების ათი პრინციპის მხარდაჭერა და მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში წვლილის შეტანა. იმ მიზნებზე, რის გამოც IBSU გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელს შეუერთდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალური მედიისა და კომუნიკაციების მენეჯერმა, მარიკა კარტოზიამ ისაუბრა: **„გაეროს გლობალური შეთანხმების 17 მიზნიდან, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა და პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს გაცნობიერებული აქვს იმ პოზიტიური შედეგების მნიშვნელობა, რომელიც მიღწევადია მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებით.“** შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელში გაწევრიანების ბენეფიტებზე ასევე, ისაუბრა გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ბიზნესთან ურთიერთობის მიმართულების ხელმძღვანელმა, რატი ზაუტაშვილმა. **"შავი ზღვის უნივერსიტეტი გახდა მსოფლიოში ყველაზე დიდი კორპორაციული მდგრადობის ინიციატივის წევრი, რაც საშუალებას აძლევს მას შეიძინოს ახალი კონტაქტები თითქმის ყველა ინდუსტრიის, სექტორის თუ ზომის ბიზნეს საწარმოებთან მსოფლიოს 167 ქვეყნიდან. გლობალური შეთანხმების ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებები უნივერსიტეტს აძლევს შესაძლებლობას გაცვალოს ინფორმაცია კორპორაციული მდგრადობის შესახებ ქსელის სხვა წევრებთან. გლობალური შეთანხმების წევრობით, უნივერსიტეტს ენიჭება წვდომა 23 წლის განმავლობაში ორგანიზაციის მიერ დაგროვებულ ინსტიტუციურ ცოდნაზე, კორპორაციული მდგრადობის მიმართულებით, კორპორაციული მდგრადობის მექანიზმებსა და რესურსებზე, ასევე, აღნიშნული მიმართულებით ტრენინგებში ჩართვის შესაძლებლობაზე. გლობალური შეთანხმების წევრ ორგანიზაციას შესაძლებელია გაეწიოს დახმარება გლობალური შეთანხმების ადგილობრივი ქსელების საშუალებით, რომელიც 60-ზე მეტ ქვეყანაში არსებობს, მათ შორის, საქართველოშიც. გლობალური შეთანხმება არის გაეროს ინიციატივა. მისი წევრობით შავი ზღვის უნივერსიტეტი იძენს ავტორიტეტს, ცოდნასა და გაეროს გამოცდილებას",** - განაცხადა მან. აღსანიშნავია ფაქტი, რომელიც IBSU-ს სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანია, რადგან გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელში ყოფნა სტუდენტებისთვის ხარისხიანი სწავლების საწინდარია. კითხვაზე თუ რას მოუტანს ქსელში გაწევრიანება სტუდენტებს და ზოგადად უნივერსიტეტს მარიკა კარტოზიამ აღნიშნა, რომ : **"გაეროს გლობალური შეთანხმების ქსელის წევრობა მნიშვნელოვანია უნივერსიტეტისთვის, რადგან იგი ქმნის ახალ შესაძლებლობებს. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც საზოგადოების, ასევე პიროვნების განვითარებისთვის, რადგანაც იგი ხელს უწყობს ქვეყნის პროგრესსა და კეთილდღეობას. ქვეყნის პროგრესი და განვითარება კი დამოკიდებულია ადამიანურ კაპიტალზე, რომელიც ხარისხიანი განათლების გარეშე რთულად მისაღწევია.“**

გაეროს გლობალური შეთანხმება (UN Global Compact) არის გლობალური ინიციატივა, რომელიც აერთიანებს 23800-ზე მეტ კომპანიასა და 3000 არასამეწარმეო პირს მსოფლიოს 167 ქვეყნიდან, რომლებიც მზად არიან, შექმნან მდგრადი მომავალი. ეს არის მსოფლიოში ყველაზე დიდი კორპორაციული მდგრადობის ინიციატივა, რომელიც ხელს უწყობს ხალხისთვის, საზოგადოებისა და ბაზრისთვის მდგრადი და ინკლუზიური გლობალური ეკონომიკის შექმნას. გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი (GCNG) წარმოადგენს გაეროს გლობალური შეთანხმების პლატფორმის ადგილობრივ ქსელს. 2020 წელს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის საქმიანობა მხარდაჭერილი იყო შვედეთის მთავრობისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ, CSEP პროგრამის ფარგლებში. ასევე, 2020 წელს ახალ თანამშრომლობას ჩაეყარა საფუძველი საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან და გაეროს გარემოს დაცვის პროგრამასთან.

# ინტერვიუ პროექტ IDEA-ს და IBSU-ს ორმაგი დიპლომის პროგრამის ხელმძღვანელთან

ლუკა ამბალია



**ახალი შესაძლებლობები IBSU-ში და ორმაგი დიპლომის მოპოვების შანსი “მენეჯმენტი და კომპიუტერული მეცნიერების“ სტუდენტებისთვის- ინტერვიუ მარინა რაზმაძესთან**

**რას გვთავაზობს IBSU-ს ორმაგი დიპლომის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა - “მენეჯმენტი და კომპიუტერული მეცნიერება “(Management with Computer Science)?**
პროგრამა სასწავლო კურიკულუმის სახით გვთავაზობს სრულიად ახალ, საერთაშორისო გამოცდილებაზე აგებულ სასწავლო გეგმას, რომელიც ოთხ პარტნიორ უნივერსიტეტთან არის შეთანხმებული და დამტკიცებული. მენეჯმენტი და კომპიუტერული მეცნიერების პროგრამა, სტუდენტებს საშუალებას აძლევს სწავლების მეორე სემესტრიდან შეარჩიონ შემოთავაზებული 5 კვალიფიკაციიდან მათთვის ყველაზე მეტად სასურველი კვალიფიკაცია და გაიარონ შესაბამისი, სავალდებულო და არჩევითი საგნები.

**რა გამოარჩევს პროგრამას და რით არის განსაკუთრებული?**
ორმაგი დიპლომის სამაგისტრო პროგრამა წარმოადგენს სრულიად ახალ პროდუქტს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, ვინაიდან იგი აერთიანებს ორ უმსხვილეს, წამყვან მიმართულებას თანამედროვე სამყაროში, ბაზარსა და მარკეტზე - მენეჯმენტს და კომპიუტერულ მეცნიერებას. აღნიშნული ორმაგი დიპლომის [illegible]

ჰყავდეს ერთი ან ორი მშობლიური უნივერსიტეტიდან და ასევე, რომელიმე პარტნიორ უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი.

**არის თუ არა განსაზღვრული სტუდენტების კვოტა?**
აღნიშნულ პროგრამაზე, პირველ წელს საქართველოში (2023 წლის აგვისტოში) გამოვაცხადეთ 10 ვაკანტური ადგილი. სამომავლოდ ვგეგმავთ ამ რიცხვის საგრძნობლად გაზრდას.

**როგორც ვიცით, თქვენ IBSU-ს რექტორთან და სტუდენტებთან ერთად იმყოფებოდით გერმანიის ქალაქ ცვიკაუში, ორმაგი დიპლომის სამაგისტრო პროგრამის „მენეჯმენტი და კომპიუტერული მეცნიერება“ ოფიციალურად გახსნის საზეიმო ცერემონიალზე რა იყო ვიზიტის მიზანი?**
ვიზიტის მიზანი იყო, ოფიციალურად გახსნის საზეიმო ცერემონიალზე დასწრება, ასევე დამსწრე სტუმრების წინაშე მისასალმებელი სიტყვით გამოსვლა და როგორც ქართველი, ასევე უცხოური სტუდენტებისთვის, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შესახებ პრეზენტაციის წარდგენა. გარდა ამისა, ვიზიტი მიზნად ისახავდა მრგვალი მაგიდის ფორმატში მონაწილეობას და პარტნიორი ქვეყნების უნივერსიტეტების, პროექტის ხელმძღვანელების შეკრებას, მიმდინარე საკითხების განხილვას და სამომავლო გეგმების დასახვას.

**რაზე გაკეთდა მთავარი აქცენტი გერმანიაში შეხვედრისას?**
მრგვალი მაგიდის დისკუსიის ფორმატში აღინიშნა, რომ პროგრამა საკმაოდ მომხიბვლელი და მოთხოვნადია. მხოლოდ წელს ყველა პარტნიორი, ქვეყნების გათვალისწინებით პროგრამაზე ჩაირიცხა 99 სტუდენტი, რაც საკმაოდ შთამბეჭდავი რიცხვია. შეხვედრის დროს ხაზგასმით აღინიშნა დაფინანსების წყაროების/ ფონდების მოძიების საკითხები, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე.

[illegible]



# აბრეშუმის გზის საერთაშორისო კონფერენცია

ანა გლოველი

**“მეცნიერების საერთაშორისო დღესთან”** დაკავშირებით 2023 წლის 18-19 ოქტომბერს, ტრადიციული, აბრეშუმის გზის მე-18 საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, რომელიც აქტუალურ, გლობალურ და რეგიონულ გამოწვევებს ეხებოდა და მასში 14 ქვეყნის 80-ზე მეტი მეცნიერი იღებდა მონაწილეობას; აბრეშუმის გზის საერთაშორისო კონფერენციის მიზანია რეგიონში და მის გარეთ ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური საკითხების მეცნიერული ანალიზი, ექსპერტთა მოსაზრებების ურთიერთგაცვლა და პრობლემატურ საკითხებთან მიმართებით ოპტიმალური გამოსავლის გზების ძიება; კონფერენციის პარტნიორი უნივერსიტეტები იყვნენ: კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, სომხეთის ეკონომიკის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ცვიკაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი (გერმანია), ცვიკაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის აღმოსავლეთ აზიის შესწავლის ცენტრი, გამოყენებითი ფსიქოლოგიის კოლეჯი (ჩეხეთი) და სომხეთის ეკონომიკის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრი; კონფერენცია წარადგინა ოთხმა მომხსენებელმა : რალფ ვრობელმა, აბდულემელიქ ალქანმა, მილან ფილმა და ჰანს ქრისტიან ბრაუველიერმა.

2023 წლის 10 ნოემბერს კი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში გაიმართა ღონისძიება - **“მეცნიერება და საზოგადოება”,** რომელიც მიზნად ისახავდა გააცნოს საზოგადოებას მეცნიერების როლის აუცილებლობა, ხაზი გაუსვას მის აქტუალობას და მოახდინოს საზოგადოების ინფორმირება მეცნიერების მიღწევების შესახებ;

**„ზოგადად ეს დღე ხაზს უსვამს მეცნიერების მნიშვნელოვან როლს საზოგადოებაში და ახალი სამეცნიერო საკითხების განხილვაში საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობას და ყურადღებას ამახვილებს ყოველდღიურ ცხოვრებაში მეცნიერების მნიშვნელობასა და აქტუალობაზე; მეცნიერების საერთაშორისო დღე მიზნად ისახავს მეცნიერების უახლესი განვითარების შესახებ მოქალაქეების ინფორმირებას,**



**საზოგადოებისა და მეცნიერების დაახლოების გზით”** - აცხადებს ქალბატონი თეა კბილცეცხლაშვილი, ორგანიზატორი ამ დღის. აღნიშნულ ღონისძიებაზე უნივერსიტეტის აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრებმა და სტუდენტებმა წარმოადგინეს განხორციელებული კვლევების შედეგები, გაუზიარეს ერთმანეთს შიდა და გარე საგრანტო პროექტების შესახებ მოსაზრებები; მოხდა მეცნიერების როლის მნიშვნელობის საჭიროების განსაზღვრა საზოგადოებისთვის;

ამავე ღონისძიებაზე მოხდა აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების მიერ გამოცემული წიგნების წარდგენა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სტუდენტების ნაყოფიერ ჩართულობაზე ინფორმაციის გაზიარება; ღონისძიება 5 პანელისგან შედგებოდა: უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა ისაუბრა მეცნიერებაში თანამედროვე ტრენდებისა და პრაქტიკაში მათი გამოყენების შესახებ; სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრებმა წარმოადგინეს განხორციელებული კვლევების შედეგები; მოხდა შიდა და გარე საგრანტო პროექტების ფარგლებში განხორციელებული კვლევების განხილვა და მათი მნიშვნელობის განსაზღვრა; აუდიტორიას წარედგინა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ გამოცემული წიგნები და კვლევითი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით აქცენტი გაკეთდა კვლევაში ახალგაზრდა მეცნიერებისა და სტუდენტების ნაყოფიერ ჩართულობაზე; მოხდა ასევე, მაღალრეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების გამოცდილების გაზიარება.



# IBSU-ს სტუდენტების წარმატება იტალიის უნივერსიტეტში

სოფო ლოლაძე



**არქიტექტურის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა ფლორენციაში გამართულ 2023 წლის პრესტიჟულ საერთაშორისო ფესტივალზე- “THE WORLD IN FLORENCE”** წარადგინეს წყალტუბოს, საკვანძო სანატორიუმების აღორძინებაზე ორიენტირებული პროექტი, კერძოდ, სანატორიუმ „მედეას“, „მეტალურგის“ და აბანო №8 სახლის არქიტექტურული გეგმები და განახლებული ვერსიები. **“ სამომავლოდ ჰორიზონტზე არაერთ საინტერესო პროექტს ვხედავ და მსურს მონაწილეობის მიღება”- ინტერვიუ თეკლა მამფორიასთან.**

**როგორ შეიტყვეთ ფესტივალის შესახებ?**
პროექტის შესახებ , ჩვენი ერთ-ერთი ლექტორისა და პროგრამის ხელმძღვანელისგან, ბატონი გიორგი წანაწყენაშვილისგან შევიტყვე.

**როდის დაიგეგმა ფესტივალი და რას ისახავდა მიზნად?**
ფესტივალი სახელად „WORLD IN FLORENCE” დაიწყო 21 ნოემბერს და 3 დღე გაგრძელდა, ორგანიზატორებმა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ ახალგაზრდა სტუდენტებს, გამოცდილ არქიტექტორებსა და ტურიზმის მცოდნეებს შეუქმნეს პლატფორმა მათი ქვეყნების ღირსშესანიშნაობებისა და გამორჩეული არქიტექტურული ნაგებობების წარსადგენად.

**სად გაიმართა და რა სახის იყო ფესტივალი?**
ფესტივალი იტალიაში, კერძოდ, ფლორენციაში გაიმართა. პირველი დღე გაცნობითი ხასიათის იყო, დანარჩენი ორ დღის განმავლობაში კი თითოეულ ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა წარედგინა მათ მიერ მომზადებული პროექტები.

**რა სახის მხარდაჭერა გაგიწია IBSU-მ?**
თავად ჩვენ, სტუდენტებმა და ადმინისტრაციამ ფესტივალის ორგანიზატორებისგან პროექტის დამტკიცებასა და მოწვევასთან დაკავშირებით, საკმაოდ გვიან შევიტყვეთ, ნოემბრის პირველი კვირა იყო, თუ სწორედ მახსოვს, აქედან გამომდინარე რთული იყო ყველა ისეთი ტექნიკური დეტალის შეთანხმება, როგორიცაა: ფრენის თარიღი, სასურველი სასტუმრო და ა.შ. თუ გავითვალისწინებთ, რომ სტუდენტებს შორის იყვნენ ის ბავშვებიც, რომლებიც მუშაობდნენ, სწორედ ამის გამო, გადავწყვიტეთ ყველაფერი ინდივიდუალურად მოგვეგვარებინა. მიუხედავად ამისა, მაქსიმალურად ვეცადეთ სასტუმროები ერთმანეთთან ახლოს დაგვეჯავშნა და ფესტივალის სამი დღე ერთად გაგვეტარებინა.

**ვინ იყვნენ თქვენი გუნდის წევრები?**
მინდა აღვნიშნო, რომ საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვანი ჯგუფი შევქმენით, თუ გავითვალისწინებთ გამოცდილებასა და მიდგომებს. ჩვენს ჯგუფს წარმოადგენდნენ: ელიზაბეტ დემუროვი, მე- თეკლა მამფორია, ლევან გოგოლაძე, ლიზი ხავლოშვილი, და ანა მამფორია.

**რა სახის პროექტი წარადგინა თქვენმა გუნდმა?**
ჩვენ წარვადგინეთ, წყალტუბოს საკვანძო სანატორიუმების აღორძინებაზე ორიენტირებული პროექტი, კერძოდ, სანატორიუმ „მედეას“, „მეტალურგის“ და აბანო №8 სახლის არქიტექტურული გეგმები და განახლებული ვერსიები. ასევე, ჟიურისა და დამსწრეებს გავაცანით ჩვენი სამომავლო იდეები, იმასთან დაკავშირებით თუ როგორ წარმოგვიდგენია სანატორიუმის ტერიტორიის აღდგენა და ფუნქციონირებად სასტუმროდ გარდაქმნა.

**რას გაიხსენებთ ყველაზე მნიშვნელოვანსა და დასამახსოვრებელს ?**
ალბათ, ფესტივალის ბოლო დღეს, როდესაც პრეზენტაციის წარდგენის შემდგომ მონაწილეებმა გადავწყვიტეთ, რომ პროექტის წარმატებით დასრულება ერთად აღგვენიშნა. ბევრი ძიების შემდგომ, ვიპოვეთ მექსიკურ სტილში მოწყობილი ფაბი, არაჩვეულებრივი გარემო და კერძებიც დაგვხვდა. ვინც არ იცით, გეტყვით, რომ ფლორენცია საკმაოდ პატარა ქალაქია, ესთეტიკაც განუმეორებელია, მაგრამ თუ ღამით მოგიწიათ სეირნობა გამომდინარე იქიდან, რომ ქუჩები ერთმანეთს ძალიან ჰგავს და დაკარგვა საკმაოდ ადვილია. ბევრი, რომ არ გავაგრძელოთ მეგობრები სასტუმრომდე მივაცილეთ და ალბათ, ზემოხსენებული უკვე მიხვდებოდით, რომ გზად ჩვენც დავიკარგეთ, მიუხედავად იმისა, რომ მათი სასტუმრო ჩვენისგან მაქსიმუმ 20 წუთის დაშორებით იყო ,ჩვენ 3 საათი დაგვჭირდა. მშვიდ ფლორენციის ქუჩებში გზის გარკვევაში კი ,რაც არ უნდა დაუჯერებლად ჟღერდეს გზად ჩვენთვის სრულიად უცნობი ქართველი ქალბატონი დაგვეხმარა.

**რა მოგცათ ამ გამარჯვებამ?**
ალბათ გამოცდილებასთან ერთად თავდაჯერებულობაც, ის ფაქტი რომ ჩვენ წარმატებით შევძელით და ქართული არქიტექტურული ნიმუშები წარვადგინეთ უცხო ქვეყნის წარმომადგენლების წინაშე და თან დიდი მოწონება და პოზიტიური შეფასება მივიღეთ.

**რა სახის პრიზი/ჯილდო მიიღეთ?**
პრიზებს რაც შეეხება, ფესტივალი მიზნად ისახავდა სხვადასხვა ქვეყნის კულტურისა და არქიტექტურისადმი ცნობიერების ამაღლებას, ასე რომ მონაწილეებისთვის ამ პროექტს კონკურსის ფორმატზე მეტად ,ერთმანეთის კულტურის აღნიშვნა და ზეიმის სახე ჰქონდა, აქედან გამომდინარე, ყველა მონაწილე გადმოგვცეს სერტიფიკატები და დაგვასაჩუქრეს.

**რა რჩევას მისცემდით მათ ვინც სამომავლოდ მიიღებს მონაწილეობას მსგავსს ფესტივალში?**
ალბათ, ის რომ მსგავს პროექტებში მონაწილეობის დროს არ დაითრგუნოთ, გამოცდილება წარმატებულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინგრედიენტია, ასე რომ შეცდომების ნუ შეგეშინდებათ და არასდროს დანებდეთ.
რა იყო თქვენთვის საუკეთესო გამოცდილება იქ ყოფნის პერიოდში?
უცხოელი სტუდენტების კულტურის გაცნობა და მათთან დაახლოება.

**სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით ,გეგმავს თუ არა თქვენი გუნდი ახალ პროექტებსა და სხვა ფესტივალებში ჩართვას?**



სამომავლოდ ჰორიზონტზე,, არაერთ საინტერესო პროექტს ვხედავ და მსურს, მონაწილეობის მიღება, ახლო მომავალში კი მე და ჩემი რამდენიმე კურსელი ვგეგმავთ უნივერსიტეტთან კოლაბორაციას და პარკინგის სივრცის შეკრებისა და დასვენების ადგილად გარდაქმნას...ალბათ, ამაზე მეტის თქმას ვერ შევძლებ.

# IBSU სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამარჯვებულია

ანანო ბლიაძე



**კიდევ ერთი წარმატება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს (IBSU) სამეცნიერო დარგში. IBSU 2023 წლის ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო საგრანტო კონკურსის გამარჯვებულია.** ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით რამდენიმე წელია მიმდინარეობს. წელს კონკურსში 463 საგრანტო საპროექტო განაცხადი შევიდა, რომლისგანაც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროექტმა : **“ადგილობრივი განვითარების ჯგუფების (lag) როლი სოფლის მმართველობაში: პოლიტიკური მონაწილეობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი მუნიციპალურ დონეზე”** მე-3 ადგილი დაიკავა. კონკურსზე წარმოდგენილ პროექტებს უნდა გაევლოთ ტექნიკური ექსპერტიზა, რაც მოიცავდა კონკურსის ტექნიკური მიზნებისთვის დადგენილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ექსპერტიზის ეტაპი გადალახა და შეფასების ეტაპზე 439 პროექტი გადავიდა. შემდეგ 3 ეტაპზე, პროექტების შეფასება გააგრძელა ევროპის სამეცნიერო ფონდმა (European Science Foundation – Science Connect, esf-sc) და დასაფინანსებლად შეირჩა 112 პროექტი, რომელთაგან ერთ-ერთსაც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორ თემურ გუგუშვილის, მიერ ინიცირებული პროექტიც იყო. წამოწყებაში ასევე მონაწილეობა მიიღო, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებულ ასოცირებულ პროფესორმა, დოქტორმა თამარ კაკუტიამ, ამასთან კვლევაში ჩაერთვებიან ამავე უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებიც.

# IBSU-ს ერთ-ერთი წარმატებული პროექტი

მარიამ მხეიძე



**IBSU-ს კიდევ ერთი პროექტი 2023 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამარჯვებულია.** 2023 წლის ფუნდამენტური კ ვ ლ ე ვ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსზე დარეგისტრირებული 463 საპროექტო განაცხადიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთა თანამშრომლობით (წამყვანი ორგანიზაცია), შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროექტმა ,,ადგილობრივი განვითარების ჯგუფების (LAG) როლი სოფლის მმართველობაში: პოლიტიკური მონაწილეობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი მუნიციპალურ დონეზე” მე-3 ადგილი დაიკავა.შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის თანამონაწილეობა ინიცირებულია უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორ , თემურ გუგუშვილის მიერ; პროექტში ასევე მონაწილეობს ამავე უნივერსიტეტის აფილირებულ -ასოცირებული პროფესორი, დოქტორი, თამარ კაკუტია; კვლევის განხორციელებაში ჩაერთვებიან ასევე ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებიც.
ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ვესაუბრეთ თემურ გუგუშვილს და ის უფრო დეტალურად გვიყვება პროექტის შესახებ:

**მოკლედ რომ მოგვიყვეთ თქვენი წარდგენილი პროექტის შესახებ?**
ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსზე წარმოდგენილი კვლევითი პროექტი “ადგილობრივი განვითარების ჯგუფების როლი სოფლის მმართველობაში: პოლიტიკური მონაწილეობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი მუნიციპალურ დონეზე (LAGGo)” მიზნად ისახავს, შეისწავლოს სოფლის მართვის პროცესში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი. კვლევითი პროექტი განხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა (წამყვანი ორგანიზაცია) და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის თანამშრომლობით. ჩვენი მხრიდან, ჩემთან ერთად, ასევე კვლევითი პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საჯარო ადმინისტრირების და სახელმწიფო მმართველობის ასოცირებული პროფესორი თამარ კაკუტია; კვლევითი პროექტი ორიენტირებულია საერთაშორისო თანამშრომლობაზე, რაც გამოხატულია ავსტრიის (University of Innsbruck), გერმანიისა (RWTH Aachen University) და ფინეთის (Natural Resources Institute Finland (Luke) პარტნიორობაში.

**როგორი იყო მოლოდინი პროექტის წარდგენამდე და საბოლოო შეფასებამდე?**
ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი ყოველწლიურად ცხადდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ. ტრადიციულად, აღნიშნულ საგრანტო კონკურსზე საპროექტო განაცხადების დიდი რაოდენობა შედის, ამჯერადაც, კონკურსზე ტექნიკური ექსპერტიზა გაიარა და შეფასების ეტაპზე გადავიდა 439 პროექტი. შეფასების ეტაპზე გადასული პროექტები კი ევროპის სამეცნიერო ფონდის მიერ (European Science Foundation – Science Connect, ESF-SC) შეფასდა. საბოლოოდ, 112-მა პროექტმა გაიმარჯვა, ხოლო ჩვენმა პროექტმა მე-3 ადგილი დაიკავა. პროექტის განხორციელებას 2024 წლიდან დავიწყებთ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლეგებთან ერთად უკვე გვქონდა ამ კონკურსში მონაწილეობის არაერთი წარმატებული გამოცდილება. შესაბამისად, მიუხედავად მაღალი კონკურენციის, ექსპერტების მხრიდან, ჩვენი პროექტის აქტუალობა, მეთოდოლოგიური მიდგომები და როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა, უმაღლესი ქულებით შეფასდა.

**როგორ მიმდინარეობდა მომზადების პროცესი პროექტის წარდგენამდე და რამდენად აქტიურად იყვნენ სტუდენტები ჩართული?**
პროექტის მომზადდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივითა და ჩვენი თანამშრომლობით. კვლევითი პროექტის მომზადებაში ძირითადად დოქტორანტები იყვნენ ჩართულები, ხოლო მის განხორციელებაში სხვა საფეხურის სტუდენტებიც მიიღებენ მონაწილეობას.

**რა დროში მომზადდა თქვენი პროექტი და ვინ იყო მთავარი იდეის ავტორი?**
პროექტის იდეა ჩემი ჩართულობით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა კვლევით ჯგუფში, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში. თუმცა, რადგან ბოლო წლებში მხვდა პატივი რომ წარმოვადგენდე შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს როგორც ასისტენტ პროფესორი, გადავწყვიტეთ გაგვეფართოებინა თანამშრომლობა და აღნიშნულ ორ უნივერსიტეტს ერთად ესპარეზა მითითებულ კონკურსში. საპროექტო განაცხადზე მუშაობა საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა რამდენიმე თვის განმავლობაში, თუმცა პროექტის საჭიროება წინარე კვლევების მიგნებებიდან და შედეგებიდან გამომდინარეობს, შესაბამისად მისი იდეა ბევრად ადრე დაიბადა ჩვენს კვლევით ჯგუფში. მსურს ვისარგებლო ამ შესაძლებლობით მადლობა გადავუხადო ადმინისტრაციას, განსაკუთრებით ქალბატონ თეა კბილცეცხლაშვილს.

# IBSU-მ კოპენიკის უნივერსიტეტის ლექტორებს უმასპინძლა

მარიამ მხეიძე



ევა კოვალსკა, იოანა ცეხომსკა, კამილა შჩეპანოვსკა და მაგდალენა კესკა. IBSU-ს გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ეწვივნენ და შეხვედრები გამართეს საერთაშორისო ურთიერთობების ოფისის, განათლების,ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სკოლისა და ბიზნესის სკოლის წარმომადგენლებთან. პროფესორებმა დაათვალიერეს IBSU-ს აუდიტორიები მათ შორის მედიაცენტრი, რომელმაც მათში დიდი მოწონება გამოიწვია. ასევე ისინი დაესწრნენ ქართული ენის ლექციას, გარდა უნივერსიტეტისა ისინი ასევე ესტუმრნენ საქართველოს ისტორიულ ქალაქ მცხეთას.

# „ფორმულას“ სპორტული ჟურნალისტი IBSU - ს მედია ცენტრს ესტუმრა“

ანი მაზიაშვილი



**რთულია ბუნებრივია, მაგრამ თუ იცი რომ გინდა ამ საქმის კეთება, ალბათ ეს სირთულეები გვერდით რჩება და ემსახურები იმ საქმეს, რომელიც გიყვარს...**

2 ნოემბერს, „ფორმულას“ ჟურნალისტმა - მერაბ ყუფარაძემ, რომელიც მეშვიდე წელია აუდიტორიას სპორტულ ამბებს აცნობს, თავისი გამოცდილება გაუზიარა მომავალ კოლეგებს. დაწყებული პროფესიის არჩევიდან (შუაში სირთულეებით), დამთავრებული სპორტულ ჟურნალისტიკაში რეალიზებით. ბავშვობიდან, ფეხბურთი იქნებოდა, რაგბი, კალათბურთი თუ სპორტის ნებისმიერი სახეობა, აქტიურად იყო ჩართული. **„სკოლაში როცა მივდიოდი დილაობით ვყიდულობდი გაზეთს და ვკითხულობდი სპორტის სიახლეებს“.** პროფესიის არჩევისას ისევე როგორც სხვები, თვითონაც სირთულეებს წააწყდა. ერთი მხრივ ფიქრობდა სკოლაში რაც კარგად გამოსდიოდა, ის საგანი აერჩია და უნივერსიტეტშიც ამაზე ესწავლა, და მეორეს მხრივ სპორტის სიყვარული აფიქრებინებდა, რომ ამ მიმართულებით წასულიყო. საბოლოოდ კი საზოგადოებრივი გეოგრაფია აირჩია, თუმცა მეორად პროფესიად მაინც ჟურნალისტიკა გადაწყვიტა, რაც შემდგომ სპორტის ჟურნალისტიკისკენ მიმავალ გზას ხსნიდა. ახლა სპორტული ჟურნალისტია საკმაოდ ცნობილ ტელევიზიაში, თუმცა დასაწყისში სირთულეებსაც წააწყდა. მისი თქმით, ტელევიზიაში მოხვედრა მარტივი არ არის. ვაკანსიები ყოველ წუთას არ გხვდება. თუმცა როგორც თვითონ ამბობს, გაუმართლა, როცა პრაქტიკაზე შეთავაზება მიიღო „რუსთავი 2-ში“. „ფიქრიც არ დამიწყია. მივედი, გავიცანი ადამიანები, მითხრეს რაც უნდა გამეკეთებინა და დავიწყე ამით“. აქ კი სპორტის მიმართულებით საკმაოდ პროფესიონალი ადამიანების გარემოცვაში მოხვდა. მათგან ბევრი რამ ისწავლა. სწავლობდა ნიუსების კეთებას, გადაღებებზე მათთან ერთად მიდიოდა და მათ პრინციპებს ირგებდა. „უნივერსიტეტში კი ვისწავლეთ ნიუსების წერა, სიუჟეტის გაკეთება, ესე რომ ვთქვათ, ჟურნალისტიკის „ანბანი“, თუმცა იქ საქმეში პრაქტიკა სრულიად განსხვავებულია და აბსოლუტურად გიწევს ფორსმაჟორში მუშაობა“. ეს ყველაფერი რომ ისწავლა და გაითავისა, ყველაზე რთული, რაც დასაწყისში შეხვდა იყო, ის, რომ მარტო მოუწია გარკვეული დროის განმავლობაში სპორტული ნიუსების გაკეთება, გადაღებებზე სიარული. „რთულია ბუნებრივია, მაგრამ თუ იცი რომ გინდა ამ საქმის კეთება, ალბათ ეს სირთულეები გვერდით რჩება და ემსახურები იმ საქმეს, რომელიც გიყვარს.“ შრომა, სწავლა და შენს თავზე მუშაობა - ეს ის თვისებებია, რომლებიც მერაბის აზრით ყველა ჟურნალისტს უნდა ჰქონდეს. გარდა ამისა, უნდა იყო გახსნილი, ეთიკის ფარგლებში უნდა იმოქმედო, არ უნდა შეგეშინდეს კითხვის დასმის. რომ არა სპორტის ჟურნალისტი, ალბათ კულტურის და ხელოვნების მიმართულებით წავიდოდა. თუმცა ამაზე არ უფიქრია იმდენად გათავისებული აქვს ეს პროფესია და იმდენად რეალიზებულს ხედავს თავის თავს მასში. „არ მიფიქრია ამაზე. იმდენად კარგად ვგრძნობ თავს იქ სადაც ვარ. ვგიჟდები ისე მიყვარს ეს პროფესია და ყველაზე კომფორტულად აქ ვგრძნობ თავს.“ რაც შეეხება რეჟიმს, რაც ამ პროფესიას ახლავს თან, მერაბ ყუფარაძე თვლის, რომ ყველაფერი მიჩვევის ამბავია. ეჩვევი იმ რეჟიმსაც, რაზეც ჟურნალისტიკაში მოხვედრის შემდგომ გადადიხარ. **„თავიდან იყო ურთულესი, დედაჩემს ვეხვეწებოდი, რომ მაღვიძარა დაეყენებინა და გაველვიძებინე, ვაწვალე ძალიან“.** პროცესში ჯანმრთელობის პრობლემებსაც კი აწყდება ადამიანი მისი თქმით. ბევრმა ვერც გაუძლო ამ რეჟიმს და წავიდა. თვითონ კი დღესდღეობით პრობლემა საერთოდ აღარ აქვს. მეტიც, ეკომფორტულება კიდეც დილით ადრე გაღვიძება. ბუნებრივია დასაწყისში შეცდომებსაც უშვებ. ერთ ასეთ ინციდენტსაც იხსენებს ახლა უკვე სიცილით. რაგბის თამაშზე საუბრობდა, რომელიც მეორე დღეს იმართებოდა და ნაკრების მორაგბე იყო ზურაბ ჟვანია. ამბობდა, რომ ნაკრების მწვრთნელმა წინა თამაშის შემდგომ შემადგენლობა შეცვალა და ზურაბ ჟვანიას ნაცვლად ითამაშებდა მიხეილ სააკაშვილი. ამ უკანასკნელის ნაცვლად მას მიხეილ ნარიაშვილი უნდა ეთქვა, თუმცა სანამ გაანალიზა რაც მოხდა, მის ტელეფონზე სამი ზარი იყო უკვე შემოსული და რეჟისორიც ყურში რაღაცებს ეუბნებოდა. რთულია ზღვარი გაავლო ფანსა და ჟურნალისტს შორის. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ სპორტის ჟურნალისტიკას არ ეხება. ნებისმიერი ადამიანის მიმართ შეიძლება გქონდეს ან გაგიჩნდეს სიმპათია, რაც შემდგომ რთულს ხდის შენი პროფესიული მოვალეობა თავისუფლად წარმართო. თავდაპირველად მერაბიც ამ დაბრკოლების წინაშე იდგა. ის იხსენებს ზაზა ფაჩულიასთან ინტერვიუს. **„ინტერვიუზე რომ დავდექი ვფიქრობდი - რა მაგარია ზაზა ფაჩულიასთან ინტერვიუზე ვარ და რა მაგარი ჟურნალისტი ვარ“.** მისი თქმით მანდ უნდა გადალახო ზღვარი და უნდა დარჩე ჟურნალისტად. რაღაც მომენტებში მან ეს შეძლო, რაღაც დროს კი ვერა. ახლა კი ამხელა გამოცდილების შემდეგ, ჟურნალისტად დარჩენა მისთვის პრობლემას აღარ წარმოადგენს და თვლის, რომ ეს ყველაფერი გამოცდილებასთან ერთად მოდის. დასასრულს, მერაბ ყუფარაძე მომავალ ჟურნალისტებს რჩევებს უზიარებს და ამბობს, რომ საკუთარ თავზე უნდა იმუშაონ ბევრი, არ უნდა გაჩერდნენ და ნიუსრუმში იქნება, თუ სადმე გადაღებაზე, თვალში უნდა მოხვდეს ყველას. იმიტომ რომ ხარ ჟურნალისტი, რომელმაც უნდა დასვა კითხვები და კითხვის დასმის




არ უნდა მოგერიდოს. **შრომა, სწავლა და საკუთარ თავზე მუშაობა - ეს სამი თვისება გამოყო, რაც მომავალ ჟურნალისტებს დაეხმარებათ რეალიზდნენ თავიანთ პროფესიაში.**

# სპორტის სიახლენი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში

ლუკა ცარციძე



**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში არაერთი სპორტული კლუბი ფუნქციონირებს, რომელთა ერთ-ერთ დადებით მხარეს, აკადემიურ ცხოვრებასთან ერთად აქტიური სოციალური ცხოვრებაც წარმოადგენს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კლუბებისა და საზოგადოებების ოფისი. აღნიშნული კლუბები უნივერსიტეტის სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას დაკავდნენ სპორტითა და საგანმანათლებლო აქტივობებით, წარმოაჩინონ საკუთარი თავი შიდა ტურნირებზე და მოიპოვონ შანსი - წარადგინონ უნივერსიტეტი ყოველწლიურ უნივერსიადაზე.**

2023 წელს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (IBSU) სპორტის ადმინისტრაციაში მთავარი მოვლენა მასტერლიგაზე გასვლა იყო. IBSU მასტერლიგის ისტორიაში პირველი უნივერსიტეტი იყო, რომელმაც ფეხბურთის ტურნირში მონაწილეობა წარმატებით მიიღო. უნივერსიტეტის გუნდის თამაშის ტრანსლაცია მასტერლიგის ოფიციალურ Facebook გვერდზე პირდაპირ ეთერში იქნა ნაჩვენები. „მასტერლიგაზე ერთ-ერთი ყველაზე სანახაობრივი გუნდი ვიყავით, მე-11 პოზიცია დავიკავეთ მასტერლიგა 3-ის B ჯგუფში”, - განაცხადა სპორტული კლუბების ხელმძღვანელმა, ვახტანგ მანიამ. მისივე თქმით, უნივერსიტეტის გუნდმა საკმაოდ კარგი თამაში აჩვენა და უნივერსიადის (სტუდენტთა საერთაშორისო სპორტული ასპარეზობა) ფუტზალის ტურნირზე A ლიგაში დაიმკვიდრა ადგილი. ასევე აღსანიშნავია სხვა სპორტებიც, მაგალითად, კალათბურთი, რომელშიც უნივერსიტეტის გუნდმა საკმაოდ წარმატებით იასპარეზა. „კალათბურთის გუნდი ჯერ-ჯერობით ისევ B ლიგაშია, თუმცა სტაბილურად ვახერხებთ ჯგუფიდან გასვლას და თამაშების მოგებას და შესაბამისად მიდის ისევ მუშაობა პროგრესზე“, - განაცხადა ვახტანგ მანიამ. რაც შეეხება უნივერსიტეტებს შორის ნარდის ტურნირს, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტმა, ბაგრატ კაკაჩიამ უნივერსიტეტის სახელით მოიგო. 2024 წელს კი, ფეხბურთის მოყვარულთათვის სიახლეებია. მომავალი წლისთვის იგეგმება მასტერლიგაზე მოღვაწეობის გაგრძელება და შიდა ტურნირების ჩატარება. შიდა ჩემპიონატის შემდეგ გაიმართება IBSU-ს თასის ჩემპიონატი, სადაც გამარჯვებული გუნდი, შიდა ჩემპიონატში გამარჯვებულ გუნდს IBSU-ს სუპერ თასისთვის დაუპირისპირდება.

გარდა ამისა, იგეგმება კალათბურთის, ფრენბურთისა და სამაგიდო თამაშების ტურნირებიც, რათა მოხდეს უნივერსიტეტის გუნდების მომზადება სამომავლო უნივერსიადებისთვის.

ვახტანგ მანიას თქმით, სტუდენტებს, რომლებსაც სურვილი აქვთ, რომ ჩაერთონ სპორტულ აქტივობებში და გამოცადონ საკუთარი თავი ამა თუ იმ სპორტის მიმართულებით აქვთ შესაძლებლობა შეუერთდნენ უნივერსიტეტში არსებულ გუნდებს ან მეტიც დაარეგისტრირონ საკუთარი გუნდი. სტუდენტური კლუბების ინფორმაციისა და სიახლეების ნახვა დაინტერესებულ სტუდენტებს შეუძლიათ, როგორც ვებ-გვერდზე : **sport.ibsu.edu.ge / clubs.ibsu.edu.ge, ასევე Facebook გვერდზე IBSU Sport.**

გაზეთზე იმუშავეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის პროგრამის სტუდენტებმა

რედაქტორი - ეთა სულუხია

თანარედაქტორები - ლუკა ცარციძე, ანა მაზიაშვილი

ტექნიკური რედაქტორი - ლუკა ამბალია

ჟურნალისტები :

ანა გლოველი, ანანო ბლიაძე, ანი მაზიაშვილი, ანკა ლეჟავა,

გიორგი ერაძე, ეთა სულუხია, თიკა ჭუმბურიძე, ლუკა ამბალია,

ლუკა შველიძე, ლუკა ცარციძე, მარიამ ეგაძე, მარიამ მხეიძე

ნინი კესარელი, სალომე ოქრიაშვილი, სოფო ლოლაძე.

გაზეთი ეკუთვნის შპს “შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს, ვრცელდება უფასოდ

+995 32 2 800 064
info@ibsu.edu.ge
ibsu.edu.ge

დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. თბილისი, საქართველო 0131